www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 29 სექტემბერი, 2012 წელი. | №3124 (217) | ფასი 50 თეთრი

"ქურდებმა ბილეთები უკან დააბრუნონ!"

"ნაციონალურმა მოძრაობამ" საარჩევნო კამპანია "დინამო არენაზე" შეაჯამა

დათო გამისონია

გუშინ "დინამო არენაზე" "ნაციონალურმა მოძრაობამ" საარჩევნო კამპანიის შემაჯამებელი შეკრება გამართა. მმართველი პარტიის მხარდამჭერები, სტადიონის ტრიბუნების გარდა, მოედანის მთელ სივრცეზე განლაგებულ სკამებზეც ისხდნენ.

ღონისძიება "ნაციონალური მოძრაობის" წევრმა გოკა გაბაშვილმა გახსნა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

პატიმართა წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაში ბრალდებულთა დაკავება გრძელდება

პროკურატურის ინფორმაციით, პატიმრების წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაში ბრალდებული კიდევ ორი პირია დაკავებული. ამჯერად, საუბარია ქუთაისის N2 დაწესებულების განყოფილების უფროს გაგა ლიპარტელიანსა და ამავე საპყრობილის კონტროლირ მიხეილ ჩხეიძეზე. პროკურატურის ინფორმაციით, გამოძიების ამ ეტაპზე სულ დაკავებულია 18 პირი, მათ შორის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, ციხის ორი დირექტორი და სხვა მაღალი თანამდებობის პირები. დაუსწრებლად აქვს ბრალდება წარდგენილი და წითელი ცირკულარით იძებნება ერთი პირი.

ქუთაისის N 2 დაწესებულება, გლლდანის საპყრობილის მსგავსად, მუდმივად ხვდებოდა ომბუდსმენის ანგარიშებსა და მოხსენებებში. პატიმრების უფლებების რეგულარული დარღვევები, პატიმრების მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის უამრავი ფაქტი, კოლექტიური დასჯის მეთოდები.

გაგრძელება
მე-8 გვერდზე

ესპანეთმა ანტიკრიზისული ბიუჯეტი დაამტკიცა

ესპანეთის მთავრობამ შეათანხმა 2013 წლის ბიუჯეტი, რომელიც ეკონომიის მკაცრ ზომებს ეფუძნება. კაბინეტმა ასევე დაამტკიცა რეფორმების ახალი პაკეტიც, რომელსაც, მათი აზრით, შეუძლია, ქვეყნა არსებული ეკონომიკური კრიზისიდან გამოიყვანოს.

ბიუჯეტის პროექტი გულისხმობს ხარჯების მნიშვნელოვნად შემცირებას ეკონომიკური კრიზისისა და მზარდი უმუშევრობის ფონზე, რომელმაც 2012 წელს უკვე 25 პროცენტს მიაღწია.

ხელისუფლება ყურადღებას უფრო მეტად საბიუჯეტო დანახარჯების შემცირებაზე გაამახვილებს, ვიდრე გადასახადების ზრდაზე. თუმცა ხელისუფლება პირობას დებს, რომ, პირიქით, გაზრდის ხარჯებს პენსიების, სტუდენტური სტიპენდიებსა და პროცენტების დასაფარად. "ეს არის კრიზისული ბიუჯეტი, რომელიც ქვეყანას კრიზისიდან გამოყვანაში დაეხმარება," - განაცხადა ქვეყნის ვიცე-პრემიერმა, ქალბატონმა სორაია საენს დე სანტამარიამ.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

სორაია საენს დე სანტამარია

"არაბული გაზაფხულიდან" - "ამერიკულ ზამთრამდე"

გასული კვირის დასაწყისში აშშ-ს საპრეზიდენტო წინასაარჩევნო კამპანიაში საგარეო პოლიტიკა განსაკუთრებულ როლს არ თამაშობდა. გამოკითხულთა მხოლოდ 5 პროცენტი ამბობდა, რომ ის მათ არჩევანზე გავლენას მოახდენს.

ყველაფერი შეიცვალა 11 სექტემბრის 11 წლისთავზე, როდესაც აღშფოთებულმა ბრბომ არაბულ ქვეყნებში აშშ-ს საელჩოების შტურმით აღება დაიწყო, ბენღაზიში კი ლიბიაში აშშ-ს ელჩი კრისტოფერ სტივენსი და მისი თანმხლები სამი პირი დაიღუპნენ.

უკანასკნელად აშშ-ს ელჩი 1979 წელს მოკლეს. ადოლფ დაბსი, რომელიც რადიკალურმა ავღანურმა ჯგუფებმა გაიტაცეს, ქაბულის ერთ-ერთ სასტუმროში სროლების შედეგად დაიღუპა.

2008 წლის არჩევნების წინ ბარაკ ობამამ პირობა დადო, რომ გააუმჯობესებდა აშშ-ს იმიჯს მსოფლიოში, რომელიც საკმაოდ გაფუჭდა ბუშის პრეზიდენტობის დროს. მან 2009 წელს კაიროში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ მან არაბულ ქვეყნებთან "გადატვირთვის" პოლიტიკის კურსი აიღო.

მას შემდეგ, რაც არაბული ქვეყნების სხვადასხვა დედაქალაქებში დაიწყო აშშ-ს საელჩოების შტურმით აღება, ადგილობრივ პრესაში გაჩნდა განცხადებები, რომ "არაბული გაზაფხული" სწრაფად გადაიქცა "ამერიკულ ზამთრად". "მათ ჩვენი არ ეშინიათ და პატივს არ გვცემენ," - განაცხადა კონსერვატორმა მიმომხილველმა დებრა სონდერსმა. "და არ ვუყვარვართ," - დასძინეს თეთრი სახლის სხვა კრიტიკოსებმა. მათ მაგალითად მოჰყავთ ივნისში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგები, რომლის მიხედვითაც ობამას პრეზიდენტობის დროს აშშ-ს იმიჯი მართლაც გაუმჯობესდა, ოღონდ მხოლოდ თურქეთში და ისიც მხოლოდ 12-დან 15 პროცენტამდე.

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6552⇓	
1 ევრო	2.1292⇓	
1 ინგლისური გირვანქა	2.6816⇓	
1 თურქული ლირა	0.9247⇓	
100 რუსული რუბლი	5.3060⇓	
თბილისი	26°C - 16°C	
ქუთაისი	32°C - 17°C	
თელავი	27°C - 12°C	
ზუგდიდი	32°C - 14°C	
ბათუმი	29°C - 16°C	
ნავთობი	3.16	+0.00 +0.15%
გაზი	3.28	-0.02 -0.49%
ოქრო	1,773.90	-6.60 -0.37%
ხორბალი	901.50	+46.00 +5.10%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

სამეცნიერო ვიკნიკი ვაკის პარკში

ბელა ჩეკურიშვილი

"მეცნიერება ბავშვებს" - ასეთია ინტერაქტიული და გასართობი ღონისძიებების მესიჯი, რომელსაც ილიას სახელმწიფო უნივერისტეტი დღეს თბილისში, ვაკის მოსწავლეებისათვის აწყობს დილის 11-დან საღამოს 17 საათამდე.

გაგრძელება
მე-9 გვერდზე

გიორგი ცინცაძისთვის "ბუდეველნიკი" დროებითი თავშესაფარი არ არის

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების ერთ-ერთ ლიდერი და კიევური კლუბის "ბუდეველნიკის" ახალბედა გიორგი ცინცაძე უკრაინულ ინტერნეტ გამოცემა sport.ua-სთან ინტერვიუში საქართველოს ნაკრებზე, "დონეცკში" გატარებულ პერიოდსა და მომავალზე საუბრობს. გთავაზობთ ამ ინტერვიუს.

- ტრადიციული კითხვა: როგორია პირველი შთაბეჭდილებები?

- ახლახან ჩავეწერე გუნდში და ჯერ კარგად არ ვიცნობ მის წევრებს. ნაკრებში თამაშების შემდეგ შვებულება გამიგრძელდა. ერთი სული მაქვს, როდის დაიწყება ახალი სეზონი.

გაგრძელება
მე-12 გვერდზე

გიორგი ცინცაძე ახალი კლუბის მაისურით

საარჩევნო პროცედურები

ნათია მსხილაძე

საპარლამეტო არჩევნებში გამარჯვებისთვის 14 პოლიტიკური პარტია (პ/გ "კახა კუკავა - თავისუფალი საქართველო", "ეროვნულ-დემოკრატიული პარტია", " ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-მეტი სარგებელი ხალხს", "სამართლიანი საქართველოსთვის", "სახალხო მოძრაობა", "თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა", პ/გ "ჯონდი ბაღათურია-ქართული დასი", პ/გ "ახალი მემარჯვენეები", "სახალხო პარტია", "მერაბ კოსტავას საზოგადოება", "მომავალი საქართველო", "საქართველოს მშრომელთა საბჭო", "შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია", " საქართველოს სპორტსმენთა კავშირი") და 2 ბლოკი ("გიორგი თარგამაძე-ქრისტიან დემოკრატიული გაერთიანება", "ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნება") იბრძოლებენ.

1 ოქტომბერს საქართველოს მაშტაბით სულ 3 648 უბანი გაიხსნება, ხოლო საზღვრებს გარეთ - 47 უბანი.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის საბოლოო მონაცემებით, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობამ 3, 613, 851 შეადგინა.

არჩევნების დღეს საარჩევნო უბნები 8 საათზე გაიხსნება და 20 საათზე დაიხურება. გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემა კი 9 საათიდან 19 საათამდე იქნება შესაძლებელი.

გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმას აძლევენ და შესაბამისი სია დგება ამომრჩეველთა ერთიანი და სპეციალური სიების საფუძველზე, თუ ამომრჩეველს შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო კენჭისყრის შენობაში მისვლა დამოუკიდებლად არ შეუძლია, იმყოფება პატიმრობაში, წევს საავადმყოფოში ან სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში და მასში საარჩევნო უბანი არ იხსნება.

გარდა ამისა, გადასატანი საარჩევნო ყუთით ხმას აძლევენ სამხედრო მოსამსახურები, რომლებიც საარჩევნო უბნიდან შორს მდებარე სახელმწიფო საზღვარზე განლაგებულ სამხედრო ნაწილში მსახურობენ, სადაც საარჩევნო უბანი არ იხსნება. აღნიშნული ფორმით ხმის მიცემის შესაძლებლობას კანონი ისეთ ამომრჩეველსაც აძლევს, რომელიც საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე იმყოფება, მაგრამ - ძნელად მისადგომ ადგილას.

ამომრჩეველმა გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის მოთხოვნით საუბნო საარჩევნო კომისიას კენჭისყრის დღემდე ორი დღით ადრე მაინც უნდა მიმართოს. კენჭისყრის დღეს სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში მყოფი ამომრჩევლის შესახებ ინფორმაციას საოლქო საარჩევნო კომისია შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას გადასცემს, კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს ორი დღისა. **"ამომრჩეველი გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შეჰყავთ მას შემდეგ, რაც საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი სარეგისტრაციო ჟურნალში რეგისტრაციაში გაატარებს და ხელმოწერით დაადასტურებს ამომრჩევლის წერილობით განცხადებას ან სატელეფონო ზეპირ განცხადებას, სატელეფონო შეტყობინების ზუსტი დროისა და შესაბამისი ტელეფონის ნომრის მითითებით; ამომრჩეველთა ერთიან ან სპეციალურ სიაში აღინიშნება ამომრჩევლის გადაყვანა გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში, რაც დასტურდება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის მდივნის ხელმოწერებით.**

გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შესაყვანი ამომრჩევლების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა გამოიკრას საარჩევნო უბანში თვალსაჩინო ადგილზე. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლებსა და დამკვირვებლებს უფლება აქვთ, გადაამოწმონ გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის მოთხოვნის საფუძვლიანობა და არჩევნების დღემდე ნებისმიერ დროს დასვან საუბნო საარჩევნო კომისიის წინაშე გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში ამ პირების შეყვანის მიზანშეწონილობის საკითხი.

გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის პროცესზე ვრცელდება ყველა პროცედურა, რომლებიც ხორციელდება საარჩევნო უბანზე ხმის მიცემისას; იდენტურია წარმომადგენლისა და დამკვირვებლის უფლებამოსილებებიც. გადასატანი საარჩევნო ყუთი საარჩევნო უბანში უნდა დაბრუნდეს არა უგვიანეს 20 საათისა," - განაცხადა ცესკო-ს სპიკერმა ეკა აზარაშვილმა.

ამომრჩევლებმა კენჭისყამდე ორი დღით ადრე ამომრჩევლის ბარათი უნდა მიიღონ - საუბარია დოკუმენტზე, სადაც მითითებული უნდა იყოს კენჭისყრის თარიღი, დრო, მისამართი, სართული, ოთახის ნომერი და ამომრჩევლის ნომერი ამომრჩეველთა სიაში.

რაც შეეხება საარჩევნო ბიულეტენებს, მათ ცესკო თბილისის 7 სტამბაში ბეჭდავს. ბეჭდვის პროცესს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებთან ერთად, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც აკვირდებიან. ბიულეტენები იბეჭდება ეთნიკური უმცირესობების ენებზეც: სომხურ-ქართულ და აზერბაიჯანულ-ქართულზე.

ერთადერთი აკრძალვა, რომელიც კენჭისყრის დღის გამო მედიისთვის 29 სექტემბრიდან ამოქმედდება, არჩევნების შესახებ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნებაა. ტელევიზიებსა და რადიოსადგურებს კი უშუალოდ კენჭისყრის დღეს მხოლოდ წინასაარჩევნო ფასიანი და უფასო რეკლამის განთავსება ეკრძალებათ.

რაც შეეხება წინასაარჩევნო კამპანიის და აგიტაციის წარმოების საკითხს, ეს კენჭისყრის დღესაც დაშვებულია და საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, იკრძალება მხოლოდ კენჭისყრის შენობაში.

ცესკო-ს განცხადებით, არჩევნებს 20 ათასზე მეტი სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის დამკვირვებლები დააკვირდებიან. მონიტორინგს გაუწევენ 12 ათასზე მეტი საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციის დამკვირვებლები. არჩევნების გასაშუქებლად 2000-ზე მეტი ჟურნალისტია დარეგისტირებული.

პრეზიდენტი ახალი კურორტის პრეზენტაციას დაესწრო

2013 წლის მაისიდან კახეთში ახალი კურორტი უნდა ამოქმედდეს - ტურისტული კომპლექსი დედოფლისწყაროში, ქოჩების ტბაზე აშენდება. მოეწყობა საპიკნიკე ზონა, ავტოსადგომები, კაფე, სპორტული, სათევზაო, საბავშვო ზონები და ველობილიკი. პროექტის პრეზენტაცია საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ გამართა. მისი თქმით, ახალი კურორტი ილიას ტბის კომპლექსის მსგავსი იქნება და ადგილობრივების დასაქმებას შეუწყობს ხელს. მიხეილ სააკაშვილმა დედოფლისწყაროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზეც ისაუბრა. პროექტებზე მილიონი ლარის დახარჯვაა გათვალისწინებული.

პრეზდიდენტს პროექტის დეტალები გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელმა კახეთის რეგიონში გიორგი სიბაშვილმა გააცნო. მისი თქმით, "უახლოეს მომავალში მთლიანად მოხდება კურორტის გაზიფიკაცია, აშენდება საავადმყოფო და გარემონტდება ყველა სკოლა".

პრეზიდენტის განცხადებით, საქართველოს საგარეო მტერს ჰქონდა იმედი, რომ არჩევნებამდე ხუთი დღით ადრე ქვეყანას ჩოქბჯენში ჩააყენებდა, თუმცა ამ ხალხს ცოტა ადრე მოუვიდა.

"ჩოქბჯენიდან გამოსავალი არსებობს და ეს არის მოწინააღმდეგეების ბეჭებზე დადება. ამ დღეებში ზუსტად ეს მოხდება. მე ჩვენს პოლიტიკურ ოპონენტებზე არ ვლაპარაკობ, ჩვენ უნდა დავდოთ ბეჭებზე უმუშევრობა, გაჭირვება, უპერსპექტივობა და ყველა ქართულ ოჯახს უნდა მოვუტანოთ მეტი სარგებელი. ეს არის ჩემი ცხოვრების მიზანი," - განაცხადა სააკაშვილმა.

მისი თქმით, მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ფონზე, მნიშვნელოვანია, მოსახლეობამ ისეთი ხალხი აირჩიოს, "ვისაც გული უძგერს" და ვისაც თანამდებობა მხოლოდ კაბინეტში ყოფნისთვის არ უნდა.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ საქართველოს რუკაზე დედოფლისწყაროს კურორტის სახით გაჩნდება "ახალი, ძალიან მაგარი კურორტი". "ჩვენთვის კურორტები მარტო დასასვენებელი ადგილები არ არის. ეს არის ხალხის დასაქმება," - განაცხადა სააკაშვილმა.

ქიზიყში ჩასვლამდე სააკაშვილი მცხეთაში რამდენიმე ღონისძიებას დაესწრო. ისტორიულ დედაქალაქში პოლიციის ახალი შენობა და სამხარეო ადმინისტრაცია გაიხსნა. პრეზიდენტმა მცხეთის იუსტიციის სახლის მშენებლობაც დაათვალიერა.

შვილი სოსო კაციტაძე, რძალი მაია მარგველაშვილი, შვილიშვილი კესი, დისშვილი თენგიზ ცერცვაძე ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნათელა მელიტონის ასული კუხალაშვილი-კაციტაძე

პანაშვიდი: 28 და 29 სექტემბერს, 16 საათზე.

მისამართი: სიმონ ჩიქოვანის N20. მე-6 სადარბაზო. მე-5 სართული.

გამოსვენება: 30 სექტემბერს, 15 საათზე, ამაღლების სახ. ეკლესიიდან (საბურთალოს სასაფლაო).

ახალი აუდიოჩანაწერები სოციალურ ქსელებში

გუშინ Youtube-ზე ბიძინა ივანიშვილის დაცვის წევრ ბესო სურმავას ოთხი ახალი აუდიოჩანაწერი გავრცელდა. პირველ ჩანაწერში, სავარაუდოდ, ირაკლი მელაშვილი და გუბაზ სანიკიძე საუბრობენ. მელაშვილი ეუბნება სანიკიძეს, რომ "იდიოტებად თვლიან მთელ პარტიას (ფორუმს), ლიდერებით დაწყებული.

"ვერავინ ვერ გაიგო, რა გინდათ, რას აკეთებთ... მკაცრი კონკურენციის პრინციპია და ძალიან ბინძური კონკურენციაა თვითონ "ოცნების" შიგნით. ერთი გამოსავალია, რომ ზედა დონეზეც თქვენ შეეკრათ "ოცნებას" ამათ წინააღმდეგ. "ოცნება" დაბოღმილია ერთზეც და მეორეზეც. იცოდე, რომ შენს ადგილზე, რომელიც შენ გეკუთვნის და შენ არ ჯდები, მიდის შენზე უარესი. ამას აშავებს "ოცნება", მაგრად აშავებს. მარტო "ოცნება" კიდე "რესპუბლიკელებს" და იმათ ვერ ეჭიდავება. ჯერ ერთი, თვითონ ვერ გაიგეს და ჩამოუყალიბებლები არიან და მეორეც, პარტნიორები არ ჰყავთ მაგათ. "ოცნების" გაძლიერებისთვის არავინ არ არის დაინტერესებული, მით უმეტეს, "რესპუბლიკელები" და ალასანია. ან "ოცნებასთან" ერთად დაიწყებთ მუშაობას და იმათ ჩაჩოჩებას, თუ არადა, იმ სიაში როგორ იქნება იცი? ერთ-ორ კაცს ჩასვამენ... თქვენ მაგივრად პრ...ებს მოიყვანენ, პირველი შენ ჩაგაჩოჩებენ... თქვენი მუშაობის ხარჯზე აბლატავებთ პრ...ებს. თქვენი ხელით მოგყავთ ალასანია.... ეს არის რეალობა და თქვენი გადასაწყვეტია, ამ რეალობას როგორ მოერგებით, მაგრამ გეუბნებით, რომ ნა...ზვრებს მოიყვანს სათავეში, დაწყებული სოზარა სუბარებით, სხვათა შორის, რა... პოლიტიკაში მე გვერდით გავდგები და ამ საქმეში არ ჩავერევი. არა, თუ ხარ, ხარ. თუ შეხვედით "ოცნებაში", მაშინ ლოჟებზე უნდა გეჩალიჩათ," - ეუბნება ირაკლი მელაშვილი გუბაზ სანიკიძეს, რომელიც, თავისი მხრივ, მხოლოდ ეთანხმება.

გუშინ გავრცელებულ მეორე აუდიოჩანაწერში, სავარაუდოდ, რომან კუსიანი და სანდრო ბრეგაძე კახა კალაძის კანონიერ ქურდებთან შეხვედრის შესახებ საუბრობენ, რომელიც, მათი თქმით, მილანში შედგა:

- რუსთავი ორმა აჩვენა ეგ, ოთარა ჩრდილელი რომ არის, არსენა მიქელაძის ბიჭები, ერთია ნემსიწვერიძე და დანარჩენები არ ვიცი, ქურდები, იმათ რომ ხვდებიან რა. ხმა არ იყო და დანარჩენ ჩანაწერს, შიგნით რაც ხდებოდა, მოგვიანებით გაჩვენებთო.

- როდინდელია ეგ შეხვედრა?

- მილანშია ჩაწერილი 15-16 ივლისს.

- დაჟე, ივლისს, ახლა?

- ხო.

- რამ გააგიჟა ან ერთი, ან მეორე.

- რავი, ყ...ეები არიან.

- კაი ტოო, როგორ გააკეთეს.

- როგორ გააკეთეს კი არა... ეს პირდაპირი დარტყმა არის, ეეე. არაა შემთხვევითი ამბავი.

- ხოდა, როგორ გააკეთეს ასეთი რამე.

- როგორ გააკეთეს და ბოზები არიან, გითხრა ახლა ყველაფერი?

- კაი, ნუ ახურებ ახლა, ნუ იცი ხოლმე ეგრევე აფეთქება.

- გეუბნები ახლა, იქ ერთ-ერთს რაღაცა შეემთხვა ადრე სერიოზული, რომ იცოდე... და ყურებით ჰყავდათ დაჭერილი, მაგრამ მე არ ვბაზრობდი რაა.

- ძალიან ცუდია, ძალიან ცუდი.

- ეგ ამბავი, რაც მე ვიცი, არავინ არ იცის რაა.

ბიძინა ივანიშვილის დაცვის წევრის მესამე ჩანაწერში, სავარაუდოდ, ირაკლი ღარიბაშვილი და ზურა ბიგვავა მაია ფანჯიკიძეს შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოიხსენიებენ:

- ჩამოსულია ის კაცი რაა, ხო იცი, ვინა...

- მაგაზე ინფორმაცია მივეცი იმას, რა ჰქვია...

- მაიას?

- ფანჯიკიძეს, ხო...

- მაგის დედას შ...ი მე, მაგის დედა მო...ან მე, მაგისი, რა დღეში ჩაგვაგდო, ამის დედას შე...ცი მე, ამისი...

- ყველაფერი მივეცი... ვინ არის რაა...

- კრეტინია ბიჭო, კრეტინი აბსოლუტური, რაა.

მეოთხე ჩანაწერში კი, სავარაუდოდ, გია ხუხაშვილი და ირაკლი ღარიბაშვილი ტელეკომპანია "მეცხრე არხის" კონტროლზე საუბრობენ. ისინი ტელეკომპანიაზე გასული სიუჟეტების მიმართ უკმაყოფილებას გამოხატავენ და ამბობენ, რომ მონიტორინგი უნდა დაიწყოს. მათი თქმით, "მე-9 არხზე" ისეთი სიუჟეტები გადის, რასაც ტელეკომპანია "რუსთავი 2"-იც კი არ აკეთებს. ფარულ ჩანაწერებში ირაკლი ტრიპოლსკის და შალვა რამიშვილის შესახებაც არის საუბარი. ისინი ტრიპოლსკის "შტერად" და შალვა რამიშვილს "ნაძირალად" იხსენიებენ.

გია ხუხაშვილი: **"ჩვენს საინფორმაციოებს დაჯექი და უყურე... ეს რა ვნახე. მთელი სამსაათიანი საინფორმაციო.. რა ხდება... თარგამაძე აჩვენეს, ბიძინა მოჭრეს**... თარგამაძე იყო მთავარი გმირი. ამას თავი დავანებოთ, მერე, ბიძინა ზის ეთერში... ახლა გაჩვენებ, რა ხდება ეთერში. იმ დღეს აქუმ იმ კამერას რომ არ უყურებდა ბიძინა, მიაქცევინეს ყურადღება და გადაატანინეს.. ახლა რას აკეთებს იგივე პონტზე "მეცხრე არხი"... მართლა სხვა რაღაცა ხდება, რა. უთხარი, რომ გაისწოროს რა. ამის ტელევიზიაა, ამის დედა ვატირე... თუ არ გეჯავრება რესპონდენტი, ამას არ გააკეთებ, რა. ოპერატორი ხომ გიზის, აჩვენე... მერე რა ხდება, ძმაო... ოთხი სიუჟეტი იყო დღეს და ყველგან კადრის გასწორებაა პრობლემა... სამებაში ყველაზე კაი ტიპად თარგამაძე გამოიყვანეს, ბიძინა არაფერი... ყველაზე საინტერესო: აღლუმიდან გააკეთეს პირდაპირი ჩართვა ტექსტით - რა მაგარი რამე ხდება ქუთაისში და აჩვენეს ვიღაც ქალი და ბავშვი, რომელიც ამბობს, რომ ვაა, რა მაგარია, აღლუმზე მივდივარ, რა კაია, "პრაზდნიკი" აქვთ, რა. ბიჭო, "რუსთავი ორს" აღარ აქვს ასე... და რითი დაამთავრეს, არ იცი? საგანელიძე რომ წამოვიდა "ქართულ ოცნებაში", ამათმა სიუჟეტი გააკეთეს ასეთი, რომ "მემარჯვენეები" მაყუთს არ მაძლევდნენ, ბიძინა მაყუთს მაძლევდა და იმიტომ წამოვედი... ასე გააშუქეს, ტო. ნუ, მთლად ასე კი არ იყო, უტრირებას ვახდენ ახლა, მაგრამ დაახლოებით ასეთი რაღაცა შეკერეს, რაა. ოთხი სიუჟეტი... ხომ არ შეიძლება, რომ ოთხივე ასე იყოს, ამის დედა ვატირე... მერე რა თქვა, ხო არის ჩემი ტელევიზიაო, მიმიშვითო რაა. ლუბაც წამოვიდა..."

ირაკლი ღარიბაშვილი: **"ლუბა მიხედავს?"**

გ.ხ: **"ლუბა მიანგრევს, ვერ მიხედავს, მაგრამ რამსებს აურევს. ყელში უნდა წვდეს რა..."**

ი.ღ: **"სირცხვილია, თარგამაძე რა პონტში გააშუქეს."**

გ.ხ: **"გააშუქეს ერთია, მაგრამ ყველაზე ისეთი გამოიყვანეს, კარგი... ბიძინამ თქვა, მოჭრეს, მერე ბურჯანაძემ თქვა რაღაცა, მოჭრეს, ეს კიდე გამოიყვანეს და მიდიი, ალაპარაკეს... თან ისე, მწყობრად - დაყენებული კადრი**... დიდი ქრონომეტრაჟი. რუხაძის დატოვებული სიტუაციაა, ინერციით მუშაობს. პირველი კონფლიქტი ჩემსა და ბექაურს შორის, რა მოხდა იცი? პირველი სიუჟეტი რომ ვნახე, "ქართული ოცნება-ქრისტიან-დემოკრატები", მოვიყვანე ტრიპოლსკი და ბექაური და ვუთხარი, ეს რა არის-მეთქი. ბექაურმა როგორ დამიტრიალა, იცი? ტრიპოლსკი ხომ შტერია რა. გიას "ლიჩნი" აქვსო, რა "ლიჩნი" უნდა მქონდეს. და მერე ბიძინამ რა მითხრა? მონიტორინგი ჩაატარე, რა არის, ჩემ გარდა, არავინ არ უყურებს ამ ტელევიზიასო. მე ვუთხარი, პირველივე გადაცემის მერე გითხარით-მეთქი ტო და ისე გამოიყვანეთ, რომ მე რაღაც "ლიჩნი" მაქვს-მეთქი და ჩავიქნიე-მეთქი მე ხელი. ახლა მითხრეს, რომ ქრონომეტრაჟები გააკეთე ქდმსიო. ქდმ არა და ვსო."

ი.ღ: **"ყველას ვფიცავარ, ბექაური გადამირჩა."**

გ.ხ: **"ჯანგირაშვილმა დაუსვა მაგარი დიაგნოზი. ბექაურმა მაგრად იცის ახსნა, რატომ ვერ აკეთებს ტელევიზიასო. ას მიზეზს მოიყვანს, რა უშლის ხელს, რომ კაი ტელევიზია გააკეთოს. არაფრის გამკეთებელია."**

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

"ქურდებმა ბილეთები უკან დააბრუნონ!"

პირველი გვერდიდან

ამას მოჰყვა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრ ზურაბ ჭიაბერაშვილის ემოციური სიტყვა. მისი თქმით, მხოლოდ ბოლო დროს დაზღვეული 920 ათასი ადამიანიდან, ჯანდაცვის მომსახურებით 220 ათასმა უკვე ისარგებლა. როგორც მინისტრი ამბობს, პრემიერი მერაბიშვლი და პრეზიდენტი სააკაშვილი საქართველოს განვითარებას გააგრძელებენ. **"ჩვენ გვინდა, მეტი სარგებელი ჰქონდეს ხალხს,"** - აღნიშნა ჭიაბერაშვილმა.

ჯანდაცვის მინისტრის შემდეგ ამომრჩეველს სიტყვით მიმართეს ქუთაისისა და ბათუმის მაჟორიტარმა კანდიდატებმა. ბათუმის მაჟორიტარი კანდიდატის გიორგი ბარამიძის თქმით, "ნაციონალურ მოძრაობას" ის ხალხი უპირისპირდება, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტს პუტინი ურჩევნია.

თბილისის მერი გიგი უგულავა სასჯელაღსრულების სისტემაში ჩადენილი დანაშაულის ამსახველ ვიდეომასალას სიმბოლური დატვირთვა მიანიჭა. მისი თქმით, კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე საშინელი წამების იარაღი - ჯვარი, კაცობრიობის ცოდვისგან გამოხსნის მთავარ სიმბოლოდ იქცა. **"სწორედ ამ მაგალითით, ჩვენ ეს სირცხვილი, გნებავთ სისტემური მარცხი, შემობრუნებად, კათარზისად უნდა ვაქციოდ. ძალადობა ერთხელ და სამუდამოდ ჩვენს სადარბაზოებს, ქუჩებსა და ეზოებს დატოვებს. მომავალი უკეთესი იქნება",** - განაცხადა გიგი უგულავამ.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე მიიჩნევს, რომ საქართველოს ქვეყნის შიგნით მტრები აღარ ჰყავს. თუმცა, მისივე თქმით, შიდა დაპირისპირება ყველაზე მეტად ხელს აძლევს გარეშე მტერს. მან სოხუმის დაცემა გაიხსენა, რაც, ბაქრაძის განცხადებით, მოხდა მაშინ, როდესაც საქართველოში შიდა დაპირისპირება იყო.

სტადიონზე განსაკუთრებული ოვაციები პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილის გამოჩენას მოჰყვა. მან თავის მოკლე მიმართვაში ძირითადი პრიორიტეტები ჩამოაყლიბა. მერაბიშვილმა კანონიერი ქურდების თემაზე ხაზგასმით ისაუბრა. **"ჩვენ ვიქნებით იმის გარანტი, რომ საქართველოში კანონიერი ქურდები არ დაბრუნდებიან,"** - ამბობს მერაბიშვილი.

პრემიერის განცხადებით, "ნაციონალურმა მოძრაობამ" დაამარცხა კრიმინალი და ახლა უმუშევრობის პრობლემას გადაჭრის. გარდა ამისა, პრემიერი ამომრჩეველს საქართველოს ყველა მოქალაქისთვის ხარისხიანი ჯანდაცვის უზრუნველყოფას ჰპირდება. **"საქართველოში დავამარცხებთ ავადმყოფობას",** - აღნიშნავს მერაბიშვილი.

სოფლის გასაძლიერებლად მერაბიშვილს მთავარ ნაბიჯად ყველა სოფელში გზის დაგება, წყლის და გაზის გაყვანა ესახება. ვანო მერაბიშვილმა პროგრამას კიდევ ერთი დაპირება შემატა: **"მომავალ წელს საქართველოს ყველა მოქალაქე უფასო ინტერნეტით (Wi-Fi) ისარგებლებს."**

ბოლო გამომსვლელი საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იყო. გიგი უგულავამ, რომელმაც თავი ღონისძიების მასპინძლად წარმოადგინა, სააკაშვილი ტრიბუნასთან მიიწვია.

მიხეილ სააკაშვილმა კანონიერ ქურდებს მიმართა, რომ საქართველოში ჩამოსასვლელად აღებული ბილეთები უკან დააბრუნონ, რადგან მათი მხარდამჭერი ძალა გამარჯვებას ვერ მოახერხებს. პრეზიდენტი საქართველოში რუსეთის ინტერესების შესახებაც სუაბრობს. **"საქართველოში დიდი ფული შემოაგდეს, ყოველდღიურად პროვოკაციებს აწყობენ, ჩვენი საზღვრების შიგნით ტანკები დაჯლიგინებენ, ჩვენი ქვეყნის დისკრედიტაციაზე ასობით მილიონი დაიხარჯა, უამრავი სხვა პრობლემა შეგვიქმნეს - აფეთქებები, ემბარგო და ამასთან, ჩვენი მიწის 20 პროცენტი ოკუპირებული აქვთ. მაგრამ, მთავარი რამ ვერ გატეხეს - საქართველოს თავისუფალი სული, დავით აღმაშენებელის, ბაგრატ მესამის, ვახტანგ გორგასლის, ილია ჭავჭავაძის სული,"** - აღნიშნავს სააკაშვილი.

მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, 1 ოქტომბერს "ნაციონალური მოძრაობა" და ქართველი ერი გაიმარჯვებს.

"საარჩევნო კამპანიამ, რომელიც პროგრამულ ორიენტირებზე იყო აგებული, აზრი დაკარგა"

"არჩევნები არ არის მხოლოდ საარჩევნო კანონმდებლობა და ის წესები, თუ როგორ უნდა მოიქცნენ არჩევნების დღეს პოლიტიკური პარტიები, მათი წარმომადგენლები ან, თუნდაც, მხარდამჭერები. სისტემატურად ვრცელდება ინფორმაცია, რომ "ნაციონალური მოძრაობისა" და "ქართული ოცნების" წარმომადგენლებს შორის გაიმართა ხელჩართული დაპირისპირება. ამ ურთიერთგამოწვევებს ბოლო არ უჩანს. კომპრომატების ომი, რასაც ბოლო დღეების განმავლობაში ვუყურებთ, აბსოლუტურად ახრჩობს არჩევნებამდე ნორმალურად და მშვიდობიანად მისვლის სივრცეს და, რაც მთავარია, საზოგადოებას არ აძლევს თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლებას. არის ამომრჩეველთა ნაწილი, რომელსაც ისტერიულად ეშინია დაპირისპირებისა და არიან ისეთები, რომლებიც საკუთარი პოლიტიკური გამარჯვებისთვის სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ვფიქრობ, საკმაოდ ფეთქებადსაშიში სიტუაციაა. ამ ფონზე მთელმა წინასაარჩევნო კამპანიამ, რომელიც პროგრამულ ორიენტირებზე იყო აგებული, ფაქტობრივად, აზრი დაკარგა. დღეს ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ მან, ვისაც ამ ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობა გააჩნია, ყველაფერი გააკეთოს, რათა არჩევნებმა მშვიდად ჩაიაროს," - ამბობს "ახალი მემარჯვენეების" ლიდერი ფიქრია ჩიხრაძე, რომელიც წინაასაარჩევნო კამპანიის შესახებ "24 საათს ესაუბრა.

- ქალბატონო ფიქრია, გასაგებია, რომ დღეს ყველა საუბრობს ორ პოლიტიკურ სიბიექტს შორის არსებულ რადიკალურ დაპირისპირებაზე. მაგრამ, რა პოზიცია გიკავიათ "ახალ მემარჯვენეებს" და რა პასუხისმგებლობას იღებთ ამ სიტუაციაში, რადგან, გინდათ თუ არ გინდათ, თქვენც ამ საარჩევნო კამპანიის მონაწილე ხართ.

- მე ჩემს პარტიას ვერც მესამე ძალას დავარქმევ და ვერც შეუაში მდგომ პარტიას. ჩვენ ვართ "ახალი მემარჯვენეები" და ჩვენი გზა ყოველთვის იყო გამოკვეთილი - იგი ეფუძნებოდა მშვიდობიან, არაძალადობრივ, არარევოლუციურ არჩევნებს. ჩვენ ყოველთვის ვემიჯნებოდით ამ პროცესებს. თუმცა, ჩვენი შესაძლებლობები, სამწუხაროდ, შეზღუდულია ყველანაირი თვალსაზრისით. ძალაუფლება ერთი პოლიტიკური პარტიის ხელშია, ფინანსებით მოპოვებული ძალაუფლება კი - მეორე პოლიტიკური ძალის ხელში. მაგრამ ამ ძალებს პოლიტიკური პასუხისმგებლობა არ გააჩნიათ. ამიტომ, საზოგადოების იმ ნაწილს მივმართავთ, ვისაც საქართველოში ამ 20 წლის განმავლობაში განვითარებული მოვლენებიდან გამოცდილება აქვს მიღებული, ვისაც აღარც სააკაშვილი უნდა და ივანიშვილიც სახიფათოდ მიაჩნია. სწორედ ამ ადამიანებზე და ჩვენნაირ პოლიტიკურ ძალებზეა დამოკიდებული, რომ ერთ რომელიმე პოლიტიკურ ძალას არ მოვაპოვებინოთ უკონტროლო ძალაუფლება, რადგან ეს საქართველოსთვის უკვე მართლა დამღუპველი იქნება.

- ასეთ დაპირისპირების ფონზე თქვენ რას გთავაზობთ იმ საზოგადოებას, რომელიც გენდობათ, როგორ დაიცავთ მათ ხმებს?

- თუ დაცვაში გულისხმობთ, რომ ვინმეს თავ-პირი უნდა დავუმტვრიოთ, ამას, რა თქმა უნდა, არავის ვთავაზობთ. პირიქით, ამას ვგმობთ. მაგრამ, რაც შეეხება მშვიდობიან გარემოში ჩვენთვის მოცემული ხმების დაცვას, ეს შეგვიძლია, ხელგვეწიფება და ამისთვის მზად ვართ, მაგრამ ამას სჭირდება არა საომარი მდგომარეობა, რაც დღეს არის. "ნაციონალური მოძრაობა" გარყვნა იმ უკონტროლო ძალაუფლებამ, რომელიც მას წლების განმავლობაში ჰქონდა და ბოროტად გამოიყენა. იმავეს მოინდომებს "ქართული ოცნებაც". დღეს მოვისმინე, რომ ბიძინა ივანიშვილს 80-პროცენტიანი მხარდაჭერის იმედი ჰქონია. ჩემი აზრით, ქართულმა საზოგადოებამ ეს არ უნდა დაუშვას.

- იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში მართლაც დაიწყება უმართავი პროცესები, თქვენი აზრით, ვის ეკისრება პასუხისმგებლობა?

- სამართლებრივადაც და პოლიტიკურადაც პასუხისმგებლობა უფრო მეტად, რა თქმა უნდა, ხელისუფლებას ეკისრება, რადგან ის ქმნის საარჩევნო გარემოს, მის პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული, ძალადობრივი იქნება პროცესი თუ მშვიდობიანი. მაგრამ, როდესაც ხელისუფლება არ არის შესაბამისი პასუხისმგებლობის მქონე, პასუხისმგებლობა ეკისრება ყველა მოთამაშეს, ვინც ამ პოლიტიკურ პორცესში მონაწილეობს. დღევანდელი ხელისუფლება სწორედ ამ უგუნური ქმედებების გამო არ მოგვწონს და მას ზიანი მოაქვს სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარებისთვის. თუმცა პოლიტიკურმა ძალამ, რომელიც მოსვლამდეც ასე იქცევა, როგორც ამჟამინდელი ხელისუფლება, არ მგონია, მომავალში რამე უკეთესი შესთავაზოს ქართულ საზოგადოებას.

- მას შემდეგ, რაც თქვენმა პარტიამ საარჩევნო სიების კომისიაზე აიღო პასუხისმგებლობა, საზოგადოების ნაწილში მოიაზრებით, როგორც ხელისუფლების სატელიტი პარტია. ბოლოს კი, ბიძინა ივანიშვილმა, რამდენიმე პარტიასთან ერთად, თქვენც ღიად დაგასახელათ ხელისუფლების მხარდამჭერებად. რას იტყვით ამ შეფასებაზე?

- ეს არის ბინძური, ცილისმწამებლური კამპანია "ახალი მემარჯვენეების" წინააღმდეგ. საარჩევნო სიებზე პასუხისმგებლობის აღება იმას ნიშნავს, რომ ჩვენი უპირობო ორიენტირი ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლა გახლავთ. ძალიან მეპარება ეჭვი, რომ მას, ვინც სიების შედგენის პროცესს უპირისპირდებოდა და ამ პროცესის დისკრედიტაციის დიდი მცდელობა ჰქონდა, გულწრფელად სურდა ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლა. რაც შეეხება სატელიტურობას და პრივილეგიურობას, რაში გამოიხატება? ჩვენ არ მოგვეცა უფასო საეთერო დრო, რადგან დასჯილები ვართ ერთხელ პარლამენტში არშესვლის გამო. არ მოგვეცა დებატებში მონაწილეობის შესაძლებლობა, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ექსპერტი, მათ შორის, ჩვენთან დაპირისპირებული ძალებისაც, აღიარებს, რომ საარჩევნო პროცესში მონაწილე პოლიტიკურ ძალებს შორის "ახალი მემარჯვენეების" პროგრამა ყველაზე პრაგმატული, გამართული და რეალისტურია. ბოლო კვირაში მხოლოდ ერთ ნაციონალურ მაუწყებელზე მოვახერხეთ კლიპის გაშვება, რადგან ოთხმაგად გაგვიძვირეს ფასიანი რეკლამა. ჩვენ არ გვაქვს გარე რეკლამა, არ გვაქვს ხალხმრავალი შეკრებების მოწყობის შესაძლებლობა, რადგან ამას სჭირდება ბევრი ავტობუსის დაქირავება. ამასთან, ავტობუსების შეჯიბრში ვერც და არც ჩავერთვებოდით. ვფიქრობ, ამას ყველა ძალიან კარგად ხედავს, მაგრამ ის ძალები, რომლებსაც პოლიტიკური ვალის მოსუფთავება უნდათ, ჩვენს ჩაძირვას ცდილობენ. სამწუხაროდ, თავად ბიძინა ივანიშვილი ფინანსების ძალაუფლებით ძალიან გათავხედებული ადამიანია, რომელსაც ჰგონია, რომ ყველა და ყველაფერი მის ფინანსებთან მუხლმოდრეკილი უნდა იყოს. მოვუწოდებ მას და ყველა პოლიტიკურ ძალას, რომ ეს ქართველი ხალხის გადასაწყვეტია და მტრული განწყობა, რომელიც მათ განსხვავებული აზრის მიმართ გააჩნიათ, ძალიან ცუდი სავიზიტო ბარათია ქართულ პოლიტიკაში მოსასვლელად.

- ქალბატონო ფიქრია, თქვენი საუბრიდან გამომდინარე, მრჩება შთაბეჭდილება, რომ არ ელოდით ასეთ დაპირისპირებას?

- "ნაციონალური მოძრაობის" უბედურება სწორედ ის იყო, რომ ყველა კრიტიკული სიტუაციის შემდეგ - იქნებოდა ეს 2007 წლის 7 ნოემბერი, 2008 წლის აგვისტო, 2009 წლის საპროტესტო მოვლენები, რაღაცის შეცვლასა და გამოსწორებაზე ფიქრის ნაცვლად, გამარჯვებულის მანტიის მორგებას იწყებდნენ და საზოგადოებას ყელში ხელს კიდევ უფრო მეტად უჭერდნენ. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ეს ადრე თუ გვიან ძალიან მძაფრ რეაქციას გამოიწვევდა.

- ანუ იცოდით, რომ ხელისუფლება დემოკრატიულად არ დათმობდა ძალაუფლებას და მაინც წახვედით თანამშრომლობაზე?

- ხელისუფლება ძალაუფლების დათმობას 2007 წლის მოვლენების შემდეგაც არ აპირებდა, მაგრამ როდესაც საზოგადოებამ მოინდომა, რიგგარეშე არჩევნები დაინიშნა. როდესაც სიების კომისიაში თანამშრომლობაზე წავედით, ამოსავალი წერტილი იყო სწორედ საზოგადოებაში მოჭარბებული განწყობა, რომ ხელისუფლება არჩევნებით არ წავა, ესენი რევოლუციით წავლენ. "ახალ მემარჯვენეებს" საქართველოს მასშტაბით 2000-ზე მეტი შეხვედრა გვქონდა და ყველგან ვამბობდით - თუ საზოგადოება იტყვის, რომ აზრი არა აქვს არჩევნებს, ამ შემთხვევაში მაინც ხელისუფლება იგებს. ჩვენ სასიცოცხლოდ გვჭირდება ის, რომ სწორედ კრიტიკულად განწყობილ საზოგადოებას ჰქონდეს რწმენა. თუ საარჩევნო ყუთებში არასახელისუფლებო ხმების გადამწყვეტი რაოდენობა აღმოჩნდება, მერწმუნეთ, "ნაციონალური მოძრაობა" ვეღარაფერს მოახერხებს. ხმებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და სწორედ ამიტომ ჩავერთეთ იმ აქილევსის ქუსლის დაძლევაში, რასაც საარჩევნო სიები ჰქვია და რაშიც პრობლემის არსებობას ყველა აღიარებდა.

- რამდენად აისახება არჩევნებზე სტუდენტური გამოსვლები, ხომ არ გამოიყენებს რომელიმე პოლიტიკური პარტია ამ პროტესტს თავის სასარგებლოდ?

- ყველაზე ეფექტური, სტუდენტური ძალის გამოყენების სურვილი რომ ჰქონდეთ პოლიტიკურ ძალებს, ეს მოულოდნელი და გასაკვირი ნამდვილად არ არის. მე თავად სტუდენტური მოძრაობის წარმომადგენელი ვარ საბჭოთა პერიოდიდან და ჩვენც ამ პროცესისთვის ზოგჯერ წარმატებით აგვირიდებია თავი და ხშირ შემთხვევაში - ვერ აგვირიდებია. რაც შეეხება ახალგაზრდების პროტესტს, ეს ჩემთვის აბსოლუტურად გასაგები, სამართლიანი და ლოგიკურია. კიდევ ერთხელ შევახსენებ საზოგადოებას იმ ინიციატივას, რომელიც "ახალ მემარჯვენეებს" პატიმრების საქმეზე გვაქვს - მოვუწოდეთ სასჯელაღსრულების დღევანდელ მინისტრ გიორგი ტუღუშს, საერთაშორისო გამოძიების მოთხოვნით მიმართოს ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლეს კომისარს, რადგან მას აქვს ყველაზე დიდი მანდატი და უფლებამოსილება ასეთი საქმეების გამოძიებისთვის.

- როგორია თქვენი პოლიტიკური პარტიის მოლოდინი ამ არჩევნებზე?

- ამ მხრივ პროგნოზირება ძალიან უმადური საქმეა, მაგრამ, შემიძლია ვთქვა, რომ ამდენი ხანია, არჩევნებში ვმონაწილეობ და ასეთი დინამიკური საარჩევნო კვირა არ ყოფილა - ძალიან მყიფეა საუბარი არა თუ ვინმეს პროცენტებზე, არამედ ვინმეს დამაჯერებელ გამარჯვებაზეც კი, რადგან სიტუაცია ყოველდღიურად იცვლება და, რაც მთავარია, ეს ორი დაპირისპირებული ძალა ერთმანეთს და საზოგადოებას აჩვენებს, რომ არც ერთი აპირებს, შეეგუოს დამარცხებას. კარგი შედეგი ის იქნება, თუ არც ერთი პოლიტიკური ძალა არ მოიპოვებს უმრავლესობას და შეიქმნება დაბალანსებული პარლამენტი, სადაც "ახალ მემარჯვენეებს" სოლიდური წარმომადგენლობა ეყოლებათ.

ესაუბრა თამარ კაციტაძე

ცესკო

2012 წლის 1 ოქტომბერს ტარდება:

საქართველოს პარლამენტის არჩევნები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები

საარჩევნო უბანზე მისვლისას თან იქონიეთ საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა/ID ბარათი ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი (იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში აგრეთვე - დევნილის მოწმობა), ხოლო თუ ხართ ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქე, თან იქონიეთ ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქის პასპორტი

ხმის მისაცემად აუცილებელი პროცედურები:

- ნაკადის მომწესრიგებელთან გაიარეთ მარკირების შემოწმების პროცედურა

  ყურადღება!
  თუ აღმოჩნდება, რომ არ გაქვთ მარკირება, ვერ შეძლებთ კენჭისყრის შენობაში შესვლას და კენჭისყრაში მონაწილეობას

- რეგისტრატორთან გაიარეთ მარკირების პროცედურა

  ყურადღება!
  მარკირებაზე უარის თქმის შემთხვევაში ვერ შეძლებთ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას

- ამომრჩეველთა სიაში თქვენი გვარის გასწვრივ ხელმოწერით დაადასტურეთ ბიულეტენ(ებ)ის მიღება

- მიიღეთ რეგისტრატორის მიერ ხელმოწერილი და რეგისტრატორის ბეჭდით დამოწმებული ბიულეტენ(ებ)ი

- შედით ფარული კენჭისყრის კაბინაში, გააკეთეთ არჩევანი, შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი სუბიექტის რიგითი ნომერი და გადაკეცეთ ბიულეტენ(ებ)ი ისე, რომ არ ჩანდეს, თუ ვის მიეცით ხმა\

- სპეციალური კონვერტი მოათავსეთ საარჩევნო ყუთში

- ხმის მიცემის შემდეგ დატოვეთ საარჩევნო უბანი

ცესკოს ცხელი ხაზი: 251 00 51
www.cesko.ge

ДИРСЕУЛЕБС ШЕУДЛИАТ ХЕЛИ ЩАМОАРТВАН
МОЩИНААДМДЕГЕС ДА МИУЛОЦОН ГАМАРЯЗВЕБА

УРТИЕРТПАТИВИСЦЕМАС
МОАЕВС НДОБА

www.cesko.ge

"არაბული გაზაფხულიდან" - "ამერიკულ ზამთრამდე"

პირველი გვერდიდან

ხოლო ეგვიპტეში, სადაც გასულ სამშაბათს დემონსტრანტები აშშ-ს საელჩოს ტერიტორიაზე შეიჭრნენ, ამერიკის რეიტინგი 22 პროცენტიდან 19 პროცენტამდე შემცირდა, იორდანიაში - 19-დან 12 პროცენტამდე, ხოლო ლიბაში - 51-დან 48 პროცენტამდე.

აღშფოთების ტალღა, რომელიც ეგვიპტეში დაიწყო და მთელი ისლამური სამყარო მოიცვა, როგორც ჩანს, თეთრი სახლისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ობამას ინტერვიუს დროს ჰკითხეს, შესაძლოა თუ არა ეგვიპტე, რომელსაც აშშ-მ სულ ახლახან მილიარდი დოლარის ოდენობის ვალი აპატია, აშშ-ს მოკავშირედ ისევ ჩაითვალოს. პრეზიდენტი აშკარად მოუმზადებელი აღმოჩნდა და განაცხადა, რომ არა, მაგრამ დასძინა, რომ ეგვიპტეს მტერს მაინც არ უწოდებდა.Aმის შემდეგ სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლები მთელი ძალისხმევით არწმუნებდნენ პრესას, რომ ეგვიპტე კვლავ რჩება აშშ-ს მოკავშირედ, მაგრამ ცდილობდნენ, საკუთარ პრეზიდენტს ძალიან არ დაპირისპირებოდნენ, რომელმაც ეს აზრი უარყო.

ამერიკულმა მედიამ ამ ლაფსუსს დიდი ყურადღება არ მიაქცია, მაგრამ კონსერვატორებს ნანატრი შესაძლებლობა მიეცათ, რომ ობამას ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის კრიტიკა დაეწყოთ. ამ სფეროში ობამა თავის რესპუბლიკელ მეტოქე მიტ რომნის მნიშვნელოვნად უსწრებს. "ის, რასაც ჩვენ ვხედავთ ეკრანებზე - ეს არის ობამას პოლიტიკის კრახი მუსულმანურ სამყაროში," - განაცხადა პუბლიცისტმა ჩარლზ კრაუტჰამერმა. "ჩვენ ვხედავთ, რომ ლიბიაში ყალიბდება "ალკაიდასტანი", ეგვიპტესთან ურთიერთობა სულს ღაფავს, იემენში არეულობაა, ხოლო ტუნისში ჩვენს საელჩოს უტევენ".

"ობამას შეცდომა ის გახლავთ, რომ იგი ეგვიპტის პრეზიდენტ მურსის, რომელიც"მუსულმან ძმებს" და მთელ "არაბულ გაზაფხულს" წარმოადგენს, ვარდისფერი სათვალეებით უყურებდა. ნუთუ ჩვენი საელჩოები და საკონსულოები ასეთ დაუცველ მდგომარეობაში იმიტომ იმყოფებიან, რომ ჩვენ სათანადოდ ვერ შევაფასეთ ანტიამერიკული განწყობა, ვერ ჩავწვდით "არაბული გაზაფხულის ფილოსოფიას?" - განაცხადა "National Review"-ს მიმომხილველმა ჯიმ გერმანმა. მისი თქმით, ობამას ადმინისტრაციას არ ჰქონდა რეალური წარმოდგენა ანტიამერკიული განწყობაზე რეგიონში და იმ საშიშროებებზე, რაც ამას შეიძლებოდა გამოეწვია.

ობამას ადმინისტრაციის მხარდამჭერები ამბობენ, რომ ჯერ ადრეა საბოლოო განაჩენის გამოტანა "არაბული გაზაფხულისთვის", რომლის დროსაც რამდენიმე პროამერიკული ავტორიტარული რეჟიმი დაემხო. მათ აღნიშნეს, რომ ამ პროცესს ბევრი ამერიკელი კონსერვატორიც მიესალმებოდა, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ოცნებობდნენ იმ დროზე, როცა არაბულ სამყაროში დადგებოდა თავისუფლება და დემოკრატია. პრეზიდენტის ბანაკში აცხადებენ, რომ მიმდინარე ანტიამერიკული ტალღა თეთრი სახლის წარუმატებლობამ კი არ გამოიწვია, არამედ 14-წუთიანმა სამოყვარულო ფილმმა "მუსულმანთა უმანკოება," რომელიც წინასწარმეტყველ მუჰამედს უარყოფითად წარმოაჩენს.

ადმინისტრაციის კრიტიკოსები უარყოფენ მოვლენების ასეთ ახსნას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება აშშ-ს საელჩოზე თავდასხმას ბენღაზიში. "გამომდინარე იქიდან, რაც მითხრეს, მე გამოვიტანე საპირისპირო დასკვნა და ვეთანხმები ლიბიის პეზიდენტს, რომელიც ამბობს, რომ ეს იყო უფრო ადრე დაგეგმილი თავდასხმა, რომელიც ეძღვნებოდა 11 სექტემბრის იუბილეს. მე მივიჩნევ, რომ პროტესტანტები არ მიდიან აქციაზე ყუმბარმტყორცნებით," - განაცხადა რესპუბლიკელმა სენატორმა სიუზან კოლინზმა. თავდაპირველად ადმინისტრაციის წარმომადგენლები უარყოფდნენ, რომ თავდასხმები იყო მიზანმიმართული ტერორისტული აქტები და ამტკიცებდნენ, რომ ელჩი სტივენსი ლიბიის რადიკალური დაჯგუფების ერთ-ერთმა აქტივისტმა მოკლა, რომელიც საპროტესტო აქციებში მონაწილეობდა. მათ, უბრალოდ, შემთხვევით ისარგებლეს.

პარასკევს დილით სენატის წინაშე სიტყვით გამოვიდა ეროვნული ანტიტერორისტული ცენტრის დირექტორი მეტ ოლსენი და განაცხადა, რომ სტივენსი და მისი თანმხლები პირები ტერორისტული თავდასხმის შედეგად დაიღუპნენ. ხუთშაბათს ტელეკომპანია "სი-ბი-ესმა" გადასცა თვითმხილველების სიტყვები, სადაც ნათქვამი იყო, რომ ამერიკის საკონსულოს წინ ბენღაზიში არ იყო არავითარი საპროტესტო აქცია. დიპლომატიური მისიის შენობაზე დაგეგმილი თავდასხმა განხორციელდა. სენატორი კოლინზი და ადმინისტრაციის სხვა კრიტიკოსები ხელისუფლებას ადანაშაულებენ იმაში, რომ მათ ვერ შეძლეს ბენღაზიში საკონსულოს უსაფრთხოების დაცვა, რომელიც თავდამსხმელებისთვის იოლი ნადავლი აღმოჩნდა.

არ აქვს მნიშვნელობა, ვინ არის მართალი ამ დაპირისპირებაში. ფაქტია, რომ "ენ-ბი-სისა" და გაზეთ "უოლ სთრით ჯორნალის" ბოლო გამოკითხვებით, ობამას რეიტინგი საგარეო პოლიტიკაში 53-დან 44 პროცენტამდე შემცირდა. მაგრამ როდესაც რესპოდენტებს ჰკითხეს, რომელი კანდიდატი იქნებოდა საუკეთესო მთავარსარდალი, 45 პროცენტმა ობამა დაასახელა, 38 პროცენტმა კი - რომნი. ოსამა ბინ ლადენის ლიკვიდაცია, რომელსაც ხშირად ახსენებენ თეთრი სახლის მხარდამჭერები, მათი ადმინისტრაციისთვის დივიდენდების მოტანას აგრძელებს.

"ბი-ბი-სის" მიხედვით
მოამზადა
სალომე ჯანიაშვილმა

ბიზნესი

საბერძნეთი და ესპანეთი აპროტესტებენ, იტალია ბონდებით ფულს ზოულობს

თინა შავაძე

ევროპის პრობლემურ ქვეყნებს შორის იტალიას ყველაზე დიდი საგარეო ვალი აქვს. ახლა იტალიამ კრედიტორებს 1.95 ტრილიონი ევრო უნდა გადაუხადოს. ქვეყნის საგარეო ვალი მშპ-ს მიმართ 123 პროცენტს შეადგენს.

მაგრამ ეს ქვეყანა საბერძნეთისა და ესპანეთისგან განსხვავებული მიდგომების გამოყენებით ცდილობს, სოციალური პროგრამები დააფინანსოს და საგარეო ვალის მომსახურება უზრუნველყოს. იტალიის მთავრობამ, "პატრიოტული ბონდების" ემისიის წყალობით, 7,3 მილიარდი ევრო უკვე მოიზიდა. კიდევ ერთი მსგავსი ვაჭრობის გამართვას ოქტომბრის შუა რიცხვებში გეგმავს.

მიმდინარე საპროტესტო აქციები ესპანეთსა და საბერძნეთში - ნათელი ილუსტრაცია იმისა, თუ რა ძვირი უჯდება კრიზისი საზოგადოებასა და პოლიტიკოსებს. საპროტესტო აქციებმა საფონდო ბირჟების ჩამოშლა გამოიწვია.

ოთხშაბათს წამყვანი ინდექსების დაეცემა საბერძნეთის 24-საათიანი გაფიცვისა და მადრიდში სერიოზული არეულობის ფონზე დაიწყო, - წერს The New York Times.

Euro Stoxx 2,7 პროცენტით შემცირდა, ხოლო ესპანურმა Ibex-მა 3,9 პროცენტით დაიკლო. ევრო დაეცა დოლარის მიმართ - 1,295 დოლარიდან 1,2863 დოლარამდე.

აშკარაა, ესპანეთის ხელისუფლებამ ევროკავშირს ფართომასშტაბიანი დახმარების პაკეტი საკუთარი საბანკო სისტემის სუვერენიტეტის დაკარგვის სანაცვლოდ უნდა მოითხოვს, მაგრამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი მარიანო რაჰოი ამ ნაბიჯის გადადგმისგან თავს იკავებს.

მკაცრი ეკონომიკური ზომების გატარებას აპროტესტებენ საბერძნეთშიც, რომლის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, "სამეულის" შეფასებით გაორმაგდა, რის გამოც, შესაძლებელია, ქვეყანამ ახალი ტრანში ვერ მიიღოს.

ამასობაში, ევროპული მედია წერს იმის შესახებ, რომ იტალიის მთავრობას სურს, უფრო მეტად დამოუკიდებელი გახდეს უცხოური ინსტიტუციონალური ინვესტორებისგან და საკუთარი მოქალაქეების დახმარების იმედი აქვს. რომი მათ ინფლაციისგან დაცულ ახალ ფასიან ქაღალდს BTP Italia-ს სთავაზობს. ეს თავისებური "პატრიოტული სახელმწიფო ობლიგაცია" იქნება, რომლის შეძენაც ინტერნეტში საკომისიოს გარეშე გახდება შესაძლებელი.

ამ აქციის სარგებელი ხელისუფლებისთვის ის არის, რომ ის ფინანსდება მოქალაქეების მიერ, ინსტიტუციონალური ინვესტორებისადმი მიმართვის გარეშე, რომლებიც ხშირად ზედმეტ სიფრთხილეს და პრეტენზიულობას იჩენენ.

რაც შეეხება წვრილ ინვესტორებს, ისინი თანხებს საკომისიოებზე დაზოგავენ. ამის გარდა, თუ ისინი სახელმწიფო ბონდებს დაფარვის სრული ვადის ამოწურვამდე შეინარჩუნებენ, სპეციალურ ბონუსს მიიღებენ.

იტალიას უკვე აქვს "პატრიოტული ბონდების" ემისიის გამოცდილება. BTP Italia-ს პირველი გამოშვება მარტში შედგა, როდესაც ქვეყნისა და ევროსადმი ფინანსური ბაზრების ნდობის კრიზისის პიკი იყო.

როგორც ადრე, ახლაც ახალ სარეკლამო კამპანიას ხელმძღვანელობს ფინანსთა მინისტრი ვიტორიო გრილი. პლაკატებზე გამოსახულია ყულაბა წარწერით: "დანაზოგი დაცული და ყოველთვის ხელმისაწვდომია".

ეს ობლიგაციები ინვესტორებს მართლაც შეუძლიათ, ინტერნეტის, ბანკების ან საფოსტო განყოფილებების მეშვეობით შეიძინონ.

გაზაფხულის ემისია წარმატებული გამოდგა: რომმა 7,3 მილიარდი ევრო მოიზიდა, რაც დაგეგმილზე გაცილებით მეტი თანხაა. საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 2,25 პროცენტს პლუს ინფლაციის მაჩვენებელი. ახალი ემისია 15-დან 18 ოქტომბრამდე პერიოდშია დაგეგმილი.

ასევე გათვალისწინებულია ინფლაციის კომპენსაცია და ბონუსი იმ ინვესტორებისთვის, რომლებიც "პატრიოტულ ბონდებს" ვადის ამოწურვამდე შეინახავენ და არ გაყიდიან. მათზე საპროცენტო სარგებელი, ინფლაციის გათვალისწინებით, ყოველ ექვს თვეში დაირიცხება. ამ ფასიანი ქაღალდების შეძენა ბანკის ან ინტერნეტის მეშვეობით უცხოელ ინვესტორებსაც შეუძლიათ.

იტალია იძულებულია, ფინანსურ ბაზრებზე ფულადი სახსრები მოიძიოს, რათა სოციალური პროგრამები დააფინანსოს და საგარეო ვალის მომსახურება განახორციელოს.

მხოლოდ მიმდინარე კვირაში რომი აპირებს 22 მილიარდი ევროს სახელმწიფო ობლიგაციების განთავსებას. პირველი ორი აუქციონი სამშაბათს წარმატებული აღმოჩნდა და რომმა 5,44 მილიარდი ევრო მიიზიდა.

ესპანეთმა ანტიკრიზისული ბიუჯეტი დაამტკიცა

პირველი გვერდიდან

მიუხედავად ყველაფრისა, ეკონომიკური ვითარება ქვეყანაში კვლავ რთულია. ცენტრალური ბანკის მონაცემები ადასტურებს რეცესიის გაღრმავებას შრომის პროდუქტიულობის ვარდნის ფონზე. ქვეყანაში გრძელდება მასობრივი საპროტესტო აქციები. ბევრი მიიჩნევს, რომ ესპანეთი საბოლოოდ მაინც იძულებული გახდება, ფინანსური დახმარება სთხოვოს თავის პარტნიორებს ევროკავშირიდან.

ახალი ბიუჯეტის ძირითადი პუნქტები სოციალური საჭიროებების ხარჯებს ეხება. ხელისუფლების გადაწყვეტილებით, სამინისტროების ხარჯები 12 პროცენტით შემცირდება. პენსიების ზრდა განხორციელდება სოციალური უზრუნველყოფის სარეზერვო ფონდიდან, რომლიდანაც დაახლოებით 3 მილიარდ ევროს ამოიღებენ.

ზედიზედ მესამე წელია, საჯარო სექტორის თანამშრომელთა ხელფასი არ გაზრდილა. გარდა ამისა, ხელისუფლება გეგმავს, შემოიღოს 20-პროცენტიანი მოგების გადასახადი ლატარეაში მოგებულ თანხებზე, იმ შემთხვევაში, თუ ის ორი ათას ევროს აჭარბებს, ასევე, აპირებს მანქანების უტილიზაციის პროგრამის ახალი სისტემის დანერგვას.

უახლოეს მომავალში ხელისუფლება 43 ახალი კანონის მიღებას გეგმავს, რაც ქვეყანას ეკონომიკის რეფორმირებაში დაეხმარება. ახალი წესების შესრულებასა და მკაცრი ეკონომიის ახალ ზომებზე მეთვალყურეობის განხორციელება დამოუკიდებელ საფინანსო ორგანოს დაევალება . ასეთი ორგანიზაციის ჩამოყალიბების შესახებ 27 სექტემბერს გახდა ცნობილი.

მოსალოდნელია, რომ ხელისუფლების მიერ მიღებული ახალი ზომები ბიუჯეტის დეფიციტს 2013 წელს 0,77 პროცენტით შეამცირებს, ხოლო შემოსავლების რეგულირება დაახლოებით 0,56 პროცენტს მოიტანს. მთავრობა აცხადებს, რომ საგადასახადო შემოსავლები ამ წელს უფრო მაღალი იქნება, ვიდრე მოსალოდნელი იყო. 2012 წელს ეს მაჩვენებელი კიდევ 3,8 პროცენტით გაიზრდება.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ, ეკონომიკური პრობლემების გათვალისწინებით, ხელისუფლების სამომავლო გეგმები ბიუჯეტის შემცირებათან დაკავშირებით, შესაძლოა, რთული განსახორციელებელი აღმოჩნდეს. "ესპანეთის ხელისუფლება გაზრდის პენსიებს, მაგრამ ამისთვის მას მოუწევს სარეზერვო ფონდი დაცალოს. ეს ნაბიჯი ესპანეთის მოქალაქეებში შეშფოთებას იწვევს," - აცხადებს "ბი-ბი-სის" კორესპონდენტი გევინ ჰიუიტი.

ესპანეთის ბანკის ყოველთვიური ანგარიშის თანახმად, "მესამე კვარტლის მონაცემები ცხადყოფს, რომ წარმოების შემცირება გრძელდება და სიტუაცია ფინანსურ სექტორში საკმაოდ დაძაბული რჩება."

ხუთშაბათს მადრიდის საფონდო ბირჟაზე ფასის 0,15 პროცენტით ვარდნა დაფიქსირდა. ეს უმნიშვნელოა წინა დღესთან შედარებით, როდესაც ვარდნა 4 პროცენტი იყო. მიუხედავად ამისა, ესპანეთის 10-წლიანი სუვერენული ვალის საპროცენტო განაკვეთმა უკვე 6 პროცენტს გადააჭარბა.

გასულ კვირას სიდიდით მეორე ესპანურმა ბანკმა "BBVA"-მ დაითვალა, რომ საბანკო სექტორის ხელშეწყობისთვის აუცილებელია 60 მილიარდი ევრო (78 მილიარდი დოლარი). ბანკების დასახმარებლად უკვე დაიხარჯა 20 მილიარდი ევრო.

2011 წლის ბოლოს ევროზონის სიდიდით მეოთხე ეკონომიკამ ორი წლის განმავლობაში უკვე მეორედ განიცადა რეცესია.

"ბი-ბი-სის" მიხედვით
მოამზადა
სალომე ჯანიაშვილმა

"გადამწყვეტი ბრძოლა" - იერიში ალეპოზე

ხათუნა გაბიევი

სირიაში სამოქალაქო ომი ისევ გრძელდება, მაგრამ, სამხედრო დანაშაულების გარდა, ზედაპირზე ამოტივტივდა ცნობები ძალადობის სხვა ფორმების შესახებაც. ადამიანის უფლებათა დამცველები აცხადებენ, რომ სირიის ციხეებში პატიმრებს არაადამიანურად ეპყრობიან და აწამებენ. ჯერ კიდევ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დაწყებამდე გახდა ცნობილი ბრიტანეთის ხელისუფლების გეგმების შესახებ.

ოფიციალური ლონდონი აპირებდა, გამოსულიყო ინიციატივით, ებრძოლათ სამხედრო მოქმედებების დროს სირიაში სექსუალური ძალადობის ინსტრუმენტად გამოყენების წინააღმდეგ. ბრიტანეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელის უილიამ ჰეიგის განცხადებით, ისინი, ვინც გაუპატიურებას მოქმედების იარაღად მიიჩნევენ, აუცილებლად უნდა დაისაჯონ.

როგორც "ბი-ბი-სი" წერს, სირიის ციხეებში მრავლად არიან ის პატიმრები, რომლებიც დემონსტრაციებისას დააკავეს და მათზე ფიზიკური ძალადობა ხორციელდება. "სამი ოფიცერი პირუტყვივით იქცეოდა. ვცდილობდი, თავი დამეცვა, მაგრამ უშედეგოდ, ჯერ სასტიკად მცემეს, შემდეგ კი ძალა იხმარეს," - ჰყვება ერთ-ერთი ყოფილი პატიმარი, რომელმაც ადამიანის უფლებათა დამცველების მეშვეობით საპყრობილისთვის თავის დაღწევა შეძლო. მისი თქმით, გაუპატიურებისას ოფიცრები უყვიროდნენ, რომ ეს სასჯელია იმისთვის, რომ პატიმარი მხარს არ უჭერდა პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადს. ყოფილი პატიმრისვე მონაყოლით, მოგვიანებით საკანში არასრულწლოვანიც შეიყვანეს, რომელიც ასევე გააუპატიურეს. ისიც, სხვების მსგავსად, შველას ითხოვდა, მაგრამ, როგორც ყოფილი პატიმრები ჰყვებიან, სირიაში ციხე ის ადგილია, სადაც არავის ესმის შენი ხმა და არავინ მოდის დასახმარებლად. "ბი-ბი-სისვე" თანახმად, კიდევ ერთი ყოფილი პატიმარი ჰყვება, რომ იგი ორი თვე ჰყავდათ დაკავებული დამასკოში სამხედრო დაზვერვის ე.წ. "პალესტინურ განყოფილებაში". სირიელი ყოფილი პატიმრები და ადამიანის უფლებათა დამცველები ჰყვებიან, რომ ქალებზე ფიზიკური ძალადობისას ციხის ზედამხედველები ვირთხებსა და თაგვებსაც იყენებდნენ, სუსტი სქესის წარმომადგენლები კი წამებას ვერ უძლებდნენ და იღუპებოდნენ. თუმცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციების ექსპერტებს წამების ასეთი ფორმების სამხილების მოპოვება არ შეუძლიათ, ამიტომ ამ ამბების დოკუმენტურ ავთენტურობას ვერ ადასტურებენ. სირიის მმართველი რეჟიმი კი ბრალდებებს უარყოფს.

ასადის რეჟიმზე არანაკლებ სისასტიკეს ამჟღავნებენ ამბოხებულებიც. ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციის "Human Rights Watch"-ის ანგარიშის თანახმად, სირიის თავისუფალი არმიის წარმომადგენელთა მხრიდანაც ხშირად ხდება მმართველი რეჟიმის მომხრეთა წამება და მათ მიმართ არაადამიანური მოპყრობა. დოკუმენტის თანახმად, ასადის რეჟიმისადმი ლოიალური დამოკიდებულების შესახებ აღიარების მოსაპოვებლად ამბოხებულები დაკავებულებს ტერფებზე სცემენ, რათა კვალი არ დარჩეს. ორგანიზაციის ანგარიში 17 სექტემბერს გამოქვეყნდა. ამერიკელი ადამიანის უფლებათა დამცველები აცხადებენ, რომ დაკავებულების წამება მომავალში, შესაძლოა, სამხედრო დანაშაულთა სიაში შეიტანონ, რაც შემდგომ უკვე საერთაშორისო ინსტანციების გასარკვევი იქნება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ნავი პილაის განცხადებით, სირიის ხელისუფლებას ასევე ემუქრება საერთაშორისო ტრიბუნალზე გასამართლება.

მანამდე კი, ვიდრე სირიაში კრიზისის რეგულირება და დამნაშავეების სასამართლო პროცესი დაიწყება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ნდობა აქვს დასაბრუნებელი, - ასეთია არაბულ სახელმწიფოთა ლიგის გენერალური მდივნის ნაბილ ალ-არაბის მოსაზრება. "გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ის ორგანოა, რომელიც პირდაპირ არის პასუხისმგებელი მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე. თუ მას ამის განხორციელება არ შეუძლია, მაშინ ქაოსი გვემუქრება. უნდა გამოინახოს გზა ნდობის მანდატის დასაბრუნებლად, რათა მიღებული რეზოლუციები შესრულდეს," - განაცხადა ნაბილ ალ-არაბიმ საერთაშორისო ორგანიზაციის შტაბბინაში გამართულ პრეს-კონფერენციაზე. მისი თქმით, არაბულ სახელმწიფოთა ლიგა მზადაა, ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ სირიის კონფლიქტი უმოკლეს ვადებში დასრულდეს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს შეხვედრის გარდა, ნიუ იორკში "სირიის მეგობარი ქვეყნების" ჯგუფის კონსულტაციაც გაიმართა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა უმასპინძლა. შეხვედრაზე გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გვიდო ვესტერველემ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო სირიის საკითხზე მარცხში დაადანაშაულა.

სირიაში კი ამ დროს გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობს. ალეპოზე ამბოხებულთა იერიშის ამსახველი კადრების გავრცელების შემდეგ, ცნობილი გახდა ასევე ისიც, რომ სირიელი ამბოხებულები რეჟიმთან გადამწყვეტ ბრძოლაში ჩართვნენ და მათ ზურგს ქურთი ამბოხებულებიც უმაგრებენ. ქვეყნის სიდიდით მეორე ქალაქი, რომლის მოსახლეობის რაოდენობა 3 მილიონით განისაზღვრება, დღემდე ასადის მხარდამჭერ ბასტიონს წარმოადგენდა. ალეპოს დაცემა ოპოზიციისთვის უმთარესი სტრატეგიული გამარჯვება იქნება და პირიქით. როგორც ასადის რეჟიმის წარმომადგენლები აცხადებენ, ალეპოში ბრძოლის მოგება მმართველი ძალისთვის ნომერ პირველი ამოცანაა. გუშინ ცნობილი გახდა ისიც, რომ რეგულარული არმიის წარმომადგენლებმა ამბოხებულთა მხარეს გადასულ ყოფილ თანამებრძოლებს მობილურ ტელეფონებზე ტექსტური შეტყობინება გაუგზავნეს: "Game over" - თამაში დასრულებულია.

ნეთანიაჰუ გაერო-ს ირანის შეჩერებისაკენ მოუწოდებს

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე გამოსვლისას მსოფლიოს ლიდერებს მოუწოდა, შეაჩერონ ირანი, სანამ გვიან არ არის. ნეთანიაჰუს თქმით, ირანს ბირთვული იარაღის შესაქმნელად ძალიან ცოტა დრო სჭირდება.

ისრაელი და დასავლეთის ქვეყნები ეჭვობენ, რომ ირანი ბირთვული იარაღის შექმნაზე მუშაობს, თუმცა ირანის ხელისუფლება ირწმუნება, რომ ბირთვული პროგრამის განვითარება მას მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის სჭირდება. ისრაელის პრემიერის სიტყვებით, ირანი ბირთვული იარაღის შექმნას მომდევნო წლის შუა პერიოდისათვის შეძლებს: "მსოფლიო საზოგადოებამ ეს არ უნდა დაუშვას," - ხაზი გაუსვა ნეთანიაჰუმ. პრემიერის თქმით, უკანასკნელი წლების განმავლობაში ირანის წინააღმდეგ დაწესებულმა სანქციებმა შედეგი ვერ გამოიღო. ნეთანიაჰუმ იმედი გამოთქვა, რომ ამერიკა და ისრაელი ამ საკითხთან დაკავშირებით ერთიან პოზიციამდე მივლენ.

ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ სამშაბათს გამოსვლისას აღნიშნა, რომ ვაშინგტონი ყველაფერს აკეთებს, რათა ირანს ბირთვული იარაღის დაუფლებაში ხელი შეუშალოს. ისრაელი აღნიშნული პრობლემის სამხედრო გზით გადაწყვეტას ემხრობა. ამერიკა ამ გეგმას მხარს ბოლომდე არ უჭერს და საერთაშორისო სანქციებისა და დიპლომატიის იმედი ჯერ კიდევ აქვს.

"მუსულმანთა უმანკოების" ავტორი დაპატიმრებულია

წინასწარმეტყველ მუჰამედზე გადაღებული ფილმის "მუსულმანთა უცოდველობის" სავარაუდო პროდიუსერი კალიფორნიაში დააკავეს. თუმცა ამერიკის ხელისუფლება ხაზს უსვამს, რომ 55 წლის ნაკულა ბასელ ნაკულას დაკავება მის მიერ გადაღებულ ფილმს არ უკავშირდება. პროკურატურის განცხადებით, მან ციხიდან ვადამდელი გათავისუფლების პირობები დაარღვია. ის კალიფორნიაში ფინანსური თაღლითობის გამო იყო დაკავებული.

წინასწარმეტყველ მუჰამედზე გადაღებულ ფილმს არაბულ სამყაროში დიდი მღელვარება მოჰყვა, გამოსვლები ამ დრომდე გრძელდება. ანტიისლამური ფილმის წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლის დროს ბენღაზიში ამერიკის საელჩოზე თავდასხმა მოხდა, რასაც ამერიკის ოთხი მოქალაქე ემხსვერპლა, მათ შორის, ამერიკის ელჩი ლიბიაში კრისტოფერ სტივენსი.

ნეპალში თვითმფრინავის ჩამოვარდნას 19 ადამიანი ემსხვერპლა

გუშინ დილით ნეპალში თვითმფრინავი ჩამოვარდა, დაიღუპა ბორტზე მყოფი 19 ადამიანი. ადგილობრივი პოლიციის ცნობით, დაღუპულებს შორის 12 უცხოელი ტურისტია, 7 - ნეპალის მოქალაქე. დაღუპული უცხოელები დიდი ბრიტანეთისა და ჩინეთის მოქალაქეები არიან. ავიაკომპანია Sita Air-ის კუთვნილი თვითმფრინავი დედაქალაქ კატმანდუს აეროპორტთან ახლოს ჩამოვარდა. პოლიციის ცნობით, თვითმფრინავი ქალაქ ლუკლაში მიემართებოდა. მომხდარის ადგილზე ამ დრომდე გრძელდება სამუშაოები.

თავდასხმა ერაყის ციხეზე

ერაყის ქალაქ ტიკრიტში ციხის შესასვლელთან აფეთქება მოხდა, რასაც თავდამსხმელებსა და უსაფრთხოების ძალებს შორის შეტაკება მოჰყვა. ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის ცნობით, დაღუპულია, სულ მცირე, 14 ადამიანი, ათობით კაცი კი ციხიდან გაიქცა. დაღუპულებს შორის ორი პოლიციელი და ორი სამხედროა. ადგილობრივი მედიასაშუალებები აცხადებენ, რომ დაღუპულია და დაჭრილია უსაფრთხოების ძალების 26 წარმომადგენელი. თავდამსხმელებს პოლიციელების ფორმები ეცვათ და იმ მარკის მანქანით მოძრაობდნენ, რომელსაც ქვეყნის პოლიცია იყენებს. სალაჰედინის პროვინციის გებერნატორის აჰმედ აბდალ ალ-ჯაბურის თქმით, უსაფრთხოების ძალებმა 33 გაქცეული უკან დააბრუნეს. თუმცა ზუსტად უცნობია, რამდენი პატიმარი რჩება გაქცეული.

"ალ კაიდას" ერთ-ერთი ხელმძღვანელი ლიბიაში ცხოვრობს

"ალ კაიდას" წევრი, რომელსაც აღმოსავლეთ აფრიკაში ამერიკის ორ საელჩოზე თავდასხმასთან აქვს კავშირი, ცოცხალია და ამჟამად ლიბიაში ცხოვრობს, - აღნიშნულის შესახებ დასავლეთის დაზვერვის წყაროები აცხადებენ. "სი-ენ-ენის" ცნობით, 48 წლის აბუ ანას ალ-ლიბი ლიბიის დედაქალაქ ტრიპოლიში შენიშნეს. შესაძლოა, ის ქვეყანაში "ალ კაიდას" ქსელსაც ქმნიდეს. უცნობია, აქვს თუ არა აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია თავად ლიბიის მთავრობას. "სი-ენ-ენთან" საუბრისას ლიბიის მთავრობის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა განაცხადა, რომ არ იცის, იმყოფება თუ არა ალ-ლიბი ტრიპოლიში, მანამდე ჰქონდათ ინფორმაცია, რომ იგი ავღანეთში იმყოფებოდა. ზუსტად უცნობია, თუ როდის დაბრუნდა ლიბი ტრიპოლიში. ერთ-ერთი წყარო აცხადებს, რომ ეს გასული წლის გაზაფხულზე მოხდა.

იტალიაში მკაცრი ეკონომიის ზომებს აპროტესტებენ

დღეს იტალიის ორი უმსხვილესი პროფკავშირი ქვეყნის პრემიერ-მინისტრ მარიო მონტის მიერ დანახარჯების შეკვეცას აპროტესტებს. წინა დღეებში მკაცრი ეკონომიის ზომების მიღების წინააღმდეგ ესპანეთსა და საბერძნეთში საპროტესტო გამოსვლები გაიმართა, რომლებიც პოლიციასთან შეტაკებით დასრულდა. "ამ დროისათვის მე ვერ ვხედავ იმედის მომცემ მომავალს, განსაკუთრებით კი, ახალგაზრდებისათვის," - აღნიშნა აქციის მონაწილემ, ყოფილმა ჯარისკაცმა ემილიო ამირალიამ. დღეისთვის იტალიაში უმუშევრობა 10,7 პროცენტს აღწევს, რაც 2004 წლიდან მოყოლებული ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

მოამზადა თამთა კახაძემ

ორი დღის ვადაში 77 პატიმარი სასჯელაღსრულების დაწესებულებებს დატოვებს

პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისიის გადაწყვეტილებით, 77 პატიმარი სასჯელაღსრულების დაწესებულებებს ორი დღის ვადაში დატოვებს. როგორც სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროში გამართული სხდომის შემდეგ კომისიის თავმჯდომარე გიორგი მაკასარაშვილმა განაცხადა, კომისიამ 400-მდე პატიმრის განაცხადზე იმსჯელა. კომისიის წევრის, ეკა ხერხეულიძის განცხადებით, გათავისუფლებულ პატიმართა შორის არიან ქალი და არასრულწლოვანი მსჯავრდებულები. პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისიის სხდომა თვეში ერთხელ იმართება. **ინტერპრესნიუსი**

დაკავება ავტომატიდან გასროლისთვის

შსს-ს სენაკის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა წარსულში ნასამართლევი მალხაზ ხულორდავა დააკავეს. შსს-ს ინფორმაციით, მალხაზ ხულორდავა კოალიცია "ქართული ოცნების" აქტივისტების კოლონას შეუერთდა და მათი მხარდაჭერის ნიშნად ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენჯერმე უმისამართოდ ისროლა. შემთხვევის ადგილზე მისულ პოლიციას ხულორდავა გაექცა, რის შემდეგაც მასზე დევნა განხორციელდა. ხულორდავას დაკავების შემდეგ სამართალდამცავებმა მისი ბინა გაჩხრიკეს. ამოღებულია ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი (AKC) და ტყვიები. ფაქტზე აღძრულია საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით. **ინტერპორესნიუსი**

ადმინისტრაციული სასჯელი პლაკატების ჩამოხევისთვის

შსს-ს აბაშის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე ვალერიანე ცომაია დააკავეს. შსს-ის ინფორმაციით, ცომაია აბაშის რაიონში "ნაციონალური მოძრაობის" სააგიტაციო პლაკატებს ხევდა. ადგილზე მისულ პოლიციას მან სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, ვალერინე ცომაიას მსგავსი ქმედებების გამო უკვე ორჯერ აქვს პოლიციისგან გაფრთხილება მიღებული. ამჯერად მოხდა მისი დაკავება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით. **ჯი-ეიჩ-ენი**

ე.წ. კანონიერი ქურდი "რეზო მლადში" უკრაინიდან გააძევეს

კიევის ლუკოიავსკის იზოლატორიდან სასჯელის ვადის მოხდის შემდეგ, ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდი რევაზ ქათამაძე განთავისუფლდა. ის კრიმინალურ წრეებში "მაღალო"-ს ან "რეზო მლადში"-ის ზედმეტსახელად არის ცნობილი. მიუხედავად იმისა, რომ ქათამაძეს ადრე უკრაინის მოქალაქეობა ჰქონდა, მისი შემდგომი ყოფნა უკრაინის ტერიტორიაზე არასასურველად იქნა მიჩნეული. თავის დროზე, ქათამაძე მოსამართლემ გაუსვლელობის ხელწერილით გამოუშვა სასამართლოს დარბაზიდან. რევაზ ქათამაძე ამის შემდეგ მიიმალა და რუსეთში ზესტაფონელი გავლენიანი ე.წ. ქურდის რევაზ ბუხნიკაშვილის იგივე "პეწო"-ს მფარველობის ქვეშ იმალებოდა. ქათამაძეზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა და იგი მიმალვიდან სამ თვეში კრასნოდარის მხარეში დააკავეს. ამის შემდეგ მისი უკრაინაში ექსტრადაცია მოხდა. მას ბრალად შეიარაღებული თავდასხმა ედებოდა, რის გამოც ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

სასჯელის ვადის მოხდის შემდეგ ქათამაძე უკრაინის სამართალდამცველებმა კვლავ დააკავეს, კიევი-სტამბოლის რეისით ქვეყნიდან გააძევეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

პატიმართა წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაში ბრალდებულთა დაკავება გრძელდება

პირველი გვერდიდან

ეს იმ დარღვევების მცირე ჩამონათვალია, რაზეც ომბუდსმენი და მისი ოფისის წევრები სისტემატურად საუბრობდნენ. ომბუდსმენის აპარატის პრევენციის ჯგუფის მიერ ქუთაისის N 2 დაწესებულებაში განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგები, წლების განმავლობაში, თითქმის უცვლელი იყო.

"მიგვაჩნია, რომ ქუთაისის N 2 დაწესებულებაში არსებული ვითარება აუცილებლად უნდა გახდეს სასჯელაღსრულების სამინისტროს ხელმძღვანელობის და საგამოძიებო ორგანოების განსაკუთრებული ყურადღების საგანი," - ეს განცხადება ყოფილმა სახალხო დამცველმა და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ დახმარების საკითხთა ამჟამინდელმა მინისტრმა გიორგი ტუღუშმა, ციხეში ძალადობისა და წამების ამსახველი ვიდეომასალების გამოქვეყნებამდე, რამდენიმე დღით ადრე გააკეთა. როგორც გიორგი ტუღუშმა მაშინ განმარტა, ქუთაისის N 2 დაწესებულებაში განთავსებულმა მსჯავრდებულებმა სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ თანამშრომლები, მათ, როგორც წესი, უხეშად, გამომწვევად და დამამცირებლად ექცეოდნენ.

"მათ ადმინისტრაცია არ აძლევს თეთრეულს, ჰიგიენის საშუალებებს და ზოგ შემთხვევაში, ტუალეტის ქაღალდსაც კი. ასევე, შემოწმებისას, პატიმრებს აშიშვლებენ და ტანსაცმელს იატაკზე აყრევინებენ, რომელიც შემდეგ ისევ უნდა ჩაიცვან. კარანტინში მყოფ პატიმრებს ზოგჯერ ჭურჭელიც არ მიეწოდებათ და ისინი იძულებულნი არიან, ერთმანეთის თეფშებით და კოვზებით ისარგებლონ, რაც გადამდები დაავადებების გავრცელების მიზეზი შეიძლება გახდეს," - ნათქვამი იყო მონიტორინგის შედეგებში. ამავე მონიტორინგის შედეგებით გაირკვა, რომ პატიმრებს, ექიმის მოთხოვნის გამო, ჯერ სცემდნენ და შემდეგ ე.წ. "ბოქსში" ათავსებდნენ.

"უკანასკნელ პერიოდში, დამატებითი მოთხოვნები დააწესა ადმინისტრაციამ, კერძოდ, დღის ნებისმიერ დროს, როდესაც დაწესებულების თანამშრომელი შეიხედავს კარის სათვალთვალოში, პატიმრები ვალდებულები არიან ადგნენ ფეხზე და დადგნენ ერთ ხაზზე. ამ შემთხვევაში არ ხდება პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინება და ნებისმიერ შემთხვევაში, ზემოაღნიშნული წესის დაუცველობა დასჯის მიზეზი ხდება," - ეს იყო გიორგი ტუღუშის ომბუდსმენობისას ქუთაისის N 2 საპყრობილეში ჩატარებული ბოლო მონიტორინგის შემდეგ გავრცელებული ინფორმაცია, სადაც ამჟამად, დაკავებულ მოხელეთა გვარებიც იყო მითითებული.

ყოფილი ომბუდსმენი და ამჟამად მინისტრი ირწმუნება, რომ ციხეებში მომხდარი ყველა ძალადობის ფაქტი გამოვლენილი და გამოძიებული იქნება და ყველა დამნაშავე შესაბამისად დაისჯება. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ დახმარების საკითხთა სამინისტროში აცხადებენ, რომ ახალი ხელმძღვანელობა სისტემას მთლიანად აკონტროლებს. ამასვე ამბობენ, პატიმრების მოსანახულებლად სხვადასხვა დაწესებულებაში შესული ადვოკატები და პაემნიდან გამოსული მსჯავრდებულების ოჯახის წევრები.

ბოლო დღეებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ სასჯელაღსრულების ზოგიერთ დაწესებულებაში მოშიმშილე პატიმართა რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა.

სახალხო დამცველის აპარატის განცხადებით, 25 სექტემბრიდან სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მოთხოვნით, ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა მე-19 დაწესებულებაში, 30-მდე მსჯავრდებულმა შიმშილობა გამოაცხადა. მოშიმშილე პატიმრების ძირითადი მოთხოვნაა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება. ომბუდსმენის აპარატის წევრთა განმარტებითვე, პატიმრები ასევე ითხოვენ, ამუშავდეს და ეფექტური გახდეს მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლების, ასევე ავადმყოფობის გამო სასჯელის გადავადების ან სასჯელისგან გათავისუფლების მექანიზმები.

"ამჟამად, მე-19 დაწესებულებაში იმავე მოთხოვნით შიმშილობას ხუთი მსჯავრდებული განაგრძობს. მსჯავრდებულთა ნაწილი მოშიმშლეთა მიმართ სოლიდარობის გამოხატვის მიზნით მედიკამენტების მიღებაზე უარს აცხადებს," - ნათქვამია სახალხო დამცველის აპარატის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ივანიშვილის პირად დაცვას ოჯახის წევრები ეძებენ

გუშინ ვებსაიტ Youtube-ზე "ქართული ოცნების" ლიდერის ბიძინა ივანიშვილის პირადი დაცვის ბესო სურმავას სახელით გუშინ ოთხი ახალი აუდიოჩანაწერი გავრცელდა. ბიძინა ივანიშვილის დაცვის წევრის ბესო სურმავას ვიდეომიმართვა პირველად გუშინწინ სოციალური ქსელით გავრცელდა, რომელშიც იგი აცხადებს, რომ უსაფრთხოების სამსახურს ბიძინა ივანიშვილისგან კოალიციის წევრების ფარულად მოსმენა და ჩანაწერების გაკეთება ჰქონდა დავალებული. ბესო სურმავამ "სამშობლოსა და შვილების წინაშე ვალი მოიხადა", რაც მისი განცხადებით, იმაში გამოიხატა, რომ ჩანაწერები, რომლებზეც მას ხელი მიუწვდებოდა Youtube-ზე დადო.

სანამ ორი დღის მანძილზე ბესო სურმავა Youtube-ზე ფარულ ჩანაწერებს ავრცელებდა, მას მისი ოჯახის წევრები ეძებდნენ. როგორც სურმავას მეუღლე და ცოლისძმა აცხადებს, ბესო სურმავა გუშინწინ საღამოს შემდეგ უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

"გუშინწინ საღამოს დამირეკა და მითხრა, რომ ყველაფერი ისე იქნება, როგორც ჩვენს ოჯახს სჭირდება. ბავშვები მოიკითხა. ვიდეოშიც ბავშვებს ახსენებს და ამბობს, რომ იქცევა ისე, მისი შვილების წინაშე რომ მართალი იყოს. ვფიქრობ, ბესოზე სერიოზული ზეწოლა ხორციელდება და თან ბავშვების ფაქტორის გამოყენებით, ჩემი მეუღლე გაიტაცეს და ამაში ხელისუფლების ხელი ურევია," - განაცხადა ჩატარებულ პრეს-კონფერენციაზე სურმავას მეუღლე მაკა ლობჟანიძემ, რომლის თქმითაც, მისი მეუღლე საუბარისას არაადეკვატური იყო.

"ჩემს შეკითხვებს არ პასუხობდა, მხოლოდ იმას მეკითხებოდა, როგორ ვიყავით. ვფიქრობ, ის არაფხიზელ მდგომარეობაში ან ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ იყო. ამასთან, ვიდეოში აშკარად ჩანს, რომ მას თვალები გაფართოებული აქვს, პირი გამშრალი. წინ რაღაც ედო და იმას კითხულობდა," - განაცხადა ბესო სურმავას მეუღლემ.

"გამორიცხულია, რომ ეს ჩანაწერები ჩემი მეუღლის ატვირთული იყოს. ჩემი დახმარების გარეშე სკაიპშიც კი ვერ შედიოდა. დარწმუნებული ვარ, ის არ აწარმოებდა ფარულ ჩანაწერებს და ამაზე ხელი არ მიუწვდებოდა იმიტომ, რომ ამის გაკეთება არც იცოდა", - განაცხადა მაკა ლობჟანიძემ, რომელიც მეუღლეს მიმართავს და მოუწოდებს "ფსიქოლოგიურად არ გატყდეს". გარდა ამისა, ის სამართალდამცველებსაც მოუწოდებს, რომ მეუღლე უვნებელი დაუბრუნონ.

მაკა ლობჟანიძის ძმა ლევან ლობჟანიძე კი ირწმუნება, რომ მისი სიძე ივანიშვილისთვის თავს გასწირავდა.

"ბესო ივანიშვილის პირადი დაცვის წევრი იყო და ისე უყვარდა მისი გულისთვის თავს გასწირავდა. გვაქვს ინფორმაცია, რომ ბესო ხონში ჰყავდათ გადაყვანილი. მისი მიმართვაც ხონის პოლიციის განყოფილებიდან იძულებით "სკაიპით" არის გაკეთებული და გავრცელებული. ვვარაუდობთ, რომ როცა იგი მორიგეობიდან ბრუნდებოდა დახვდნენ და წაიყვანეს ან შეიძლება დაურეკეს - ის პოლიციის ოფიციალური თანამშრომელია და დაიბარეს. ფიზიკურად რომ შევხედე, კადრებში ჩანდა, რომ ის ფსიქოტროპული ან ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იყო. შეარჩიეს ბიძინა ივანიშვილის ყველაზე ერთგული ადამიანი და მისი საშუალებით ცდილობენ დაანახონ საზოგადოებას, თითქოს კოალიციაში განხეთქილებაა. ეს არის სისულელე," - განაცხადა გუშინ საღამოს ლევან ლობჟანიძემ, რომლის თქმითაც, სიძის ადგილსამყოფელის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ მოეპოვებათ.

მოგვიანებით გავრცელდა ბესო სურმავას გაუჩინარებამდე გადაღებული კადრები, რომელიც ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციასთან, დაცვის ოთახთან დამონტაჟებულმა სათვალთვალო კამერამ დააფიქსირა. კადრებზე ნათლად ჩანს, როგორ აჩქარებული, ღრმა ნაფაზებით ეწევა სურმავა სიგარეტს, შემდეგ შედის ოთახში, საიდანაც მალევე გამოდის და რამდენიმე წუთის მანძილზე დაფიქრებული ბოლთას სცემს ეზოში. მალევე, მას მიუახლოვდება მსუბუქი მანქანა, რომელშიც ჯდება და მიდის.

შპს "პროფესიული ინოვაციების კოლეჯი" პროფესიულ სტუდენტთათვის აცხადებს მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

ბუღალტრის მესამე საფეხური - 35 ადგილი; ბუღალტრის მეოთხე საფეხური - 35 ადგილი; საბაჟო წარმომადგენლის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტი) მესამე საფეხური - 80 ადგილი; ტუროპერატორის მესამე საფეხური - 80 ადგილი; ტუროპერატორის მეოთხე საფეხური - 70 ადგილი; ინფორმაციული ტექნოლოგიის მესამე საფეხური - 50 ადგილი; ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხური - 70 ადგილი; ექთნის თანაშემწის მესამე საფეხური - 34 ადგილი; მასაჟისტი - 50 ადგილი.

აღსანიშნავია, რომ "პროფესიული ინოვაციების კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემურანდუმი სხვადასხვა უწყებებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ პროფესიული სტუდენტებისთვის საწარმოო პრაქტიკის ჩატარებას, ხოლო სწავლის დასრულების შემდეგ პარტნიორი დაწესებულებები ხელს შეუწყობენ კურსდამთავრებულთა დასაქმებას. ეს უწყებებია: შემოსავლების სამსახური, "ავერსი", "ტაოპრივატბანკი", აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა, ტურისტული სააგენტო შპს "ევრიკა", შპს "ჯი თი ექსპრესს სერვისი", ბუღალტრული ფირმა შპს "ბასტიონი" და კომპიუტერული ფირმა შპს "აი ტი აი".

დაინტერესებულმა პირებმა (ჩარიცხვის მსურველებმა) 15 ოქტომბრის ჩათვლით შპს "პროფესიული ინოვაციების კოლეჯში" უნდა წარადგინონ: განცხადება (კოლეჯში შესაბამის სპეციალობაზე მიღებასთან დაკავშირებით); პირადობის მოწმობის ასლი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში დაბადების მოწმობის ასლი და კანონიერი წარმომადგენლის (დედა, მამა, მეურვე) პირადობის მოწმობის ასლი); ორი ფოტოსურათი 3X4-ზე; სრული ზოგადი საბაზო ან საშუალო საფეხურის განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი; მომსახურების საფასურის 50 (ორმოცდაათი) ლარის შპს "პროესიული ინოვაციების კოლეჯის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი. დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: თბილისი ალ. ყაზბეგის გამზირი 47, ტელ: 790 11 96 96, 790 11 69 69; ვებ-გვერდი: www.pic.com.ge

სამეცნიერო პიკნიკი ვაკის პარკში

პირველი გვერდიდან

ეს ერთგვარი სამეცნიერო პიკნიკია, რომელიც წარმოადგენს ერთდღიან სამეცნიერო შემეცნებით ღონისძიებებს ღია ცის ქვეშ, რომელიც მიზნად ისახავს მეცნიერების სხვადასხვა დარგის პოპულარიზაციას. ვაკის პარკში დღეს 42 კარავი გაიშლება, მცირე პავილიონები, სადაც წინასწარ შერჩეული ჯგუფები საქართველოს და უცხოეთის სამეცნიერო, საგანმანათლებლო და კულტურული დაწესებულებებიდან წარმოადგენენ საკუთარ მიღწევებს სხვადასხვა სახის ექსპერიმენტებითა და ინტერაქციული გამოფენებით. ღონისძიება უპირველესად განკუთვნილია მოზარდი, სკოლის ასაკის თაობის წარმომადგენლებისათვის, თუმცა საინტერესო იქნება ნებისმიერი სხვა ასაკის ადამიანებისთვისაც. პიკნიკის მთავარი ამოცანაა ხალისიანი ფორმით წარმოაჩინოს თანამედროვე მეცნიერების მიღწევები, განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო დისციპლინებში, რაც ხელშესახებს გახდის ყველა იმ სამეცნიერო საიდუმლოს, რასაც მოზარდები სკოლის წლებში ნელნელა ეზიარებიან.

მსგავსი ღონისძიებები ევროპული ქვეყნებისათვის უკვე ტრადიციად იქცა და იგი ერთ მიზანს ემსახურება - დაანახვოს მოსწავლეებს მეცნიერების სხვადასხვა დარგი ის კუთხით, რომ მათში დაინტერესება გამოიწვიოს. მეცნიერებისადმი ინტერესს კი მოზარდი მაშინ იჩენს, თუ მისთვის გასაგებ ენაზე უხსნიან და იმ საიდუმლოს უმხელენ, რის გარშემოც ესა თუ ის მეცნიერება ტრიალებს, როცა იმ საოცრებებზე აფიქრებენ, რაზეც მას პასუხი ვერ უპოვია. ამის მოხერხება კი ინტერაქტიული თამაშებისა და საცდელი ხელსაწყო - დანადგარების დახმარებით შეიძლება.

"აქ გაცოცხლდება ის, რის ჩვენების საშუალებაც სკოლებში არ არის. მაგალითად, ბავშვები ნახავენ, როგორ წარმოიქმნება ტორნადო, როგორ მუშაობს ხელსაწყო ქარის ენერგიაზე, როგორ შენდება ეკობლოკები, როგორ მიმდინარეობს ქიმიური რეაქციები, როგორ მოძრაობენ მოლეკულები, მიკროსკოპებში ჩახედავენ ცოცხალ უჯრედებს, ჩაატარებენ არქეოლოგიურ გათხრებს... ბევრი მასალაა ეკოლოგიის გარშემო, წარმოდგენილია ფსიქოლოგიური თამაშები, კონკურსები. თამარ მახარობლიძე ყრუმუნჯ ბავშვებთან ერთად სკოლის მოსწავლეებს ჩართავს გასართობ პროგრამაში. სამეცნიერო პიკნიკში მონაწილეობას იღებს ზოოპარკიც, პატარა ცხოველებით და სხვა. ბავშვებზე გათვლილი მსგავსი მასშტაბის ღონისძიებები საქართველოში არსად ტარდება. ევროპაში არსებობს მუდმივმოქმედი ცენტრები, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ უშუალოდ აღიქვან მეცნიერების ესა თუ ის დარგი, ის რასაც აბსტრაქტულად სწავლობენ სკოლებში, ეფექტს ვერ აღწევს, მათ დაინტერესებას ვერ იწვევს. ამიტომ გადავწყვიტეთ, ასეთი სამეცნიერო პიკნიკი მოგვეწყო და მისთვის ყოველწლიური სახე მიგვეცა " - გვითხრა ილიას უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ლანა ღვინჯილიამ.

თანამედროვე მეცნიერება დიდი ხანია გასცდა ჩაკეტილი ლაბორატორიებისა და ინდივიდუალური ქვეყნების ძალისხმევის ფარგლებს. მის წინაშე მდგარი გამოწვევები საჭიროებს ახალგაზრდების მზარდი რაოდენობის ჩართვას. მეცნიერების მიღწევებით გამსჭვალულია ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება, თუმცა ხშირად ეს ფაქტი გაუცნობიერებელი რჩება. სამეცნიერო პიკნიკი სწორედ ამ ამოცანებს ემსახურება და აკავშირებს მოქმედ მეცნიერებს და მომავალ თაობებს.

მოსწავლეებზე გათვლილი ღონისძიება - სამეცნიერო პიკნიკი პირველად ვარშავაში გაკეთდა 15 წლის წინ, პოლონეთის რადიოსა და კოპერნიკის სამეცნიერო ცენტრის ორგანიზებით და უდიდესი მოწონება გამოიწვია. პირველ წელს 7 კარავი გაიშალა, გასულ წელს კი, ათასამდე კარავს მოიცავდა და მას ორდღიანი ღონისძიებების სახე ჰქონდა. სამეცნიერო პიკნიკი სხვადასხვა სახელწოდებითა და ვარიაციებით ყოველწლიურად იმართება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და დიდი პოპულარობით სარგებლობს.

სამეცნიერო პიკნიკი ვაკის პარკში თბილისის მერიის, პოლონეთის საელჩოსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება, მასში მონაწილეობას იღებს ასევე საქართველოს მასწავლებელთა სახლიც. ღონისძიებას გახსნიან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფ. გიგი თევზაძე, საქართველოს გარემოს დაცვისა და განათლების და მეცნიერების სამინისტროების წარმომადგენლები, პოლონეთის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში ურსულა დოროშევსკა. ცენტრალურ სცენაზე პოლონეთის და ესტონეთის სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენლები პრეზენტაციებს გააკეთებენ. აქვე დაგეგმილია სახალისო კონკურსები და სიურპრიზები ბავშვებისა და მათი მშობლებისათვის.

პროფესია კინომცოდნე

არასამთავრობო ორგანიზაცია Creative Club კინოპროექტს ახორციელებს

ია ვეკუა

იქ, სადაც არსებობს ხელოვნება, აუცილებლად არსებობს მისი კრიტიკაც. მიუხედავად იმისა, რომ თავად ამ ხელოვნების წარმომადგენლებისგან ხშირად გაიგონებთ ჩივილს კრიტიკისა და პროფესიული შეფასების არ არსებობის თაობაზე, ეს სფერო ჩვენთან ასე თუ ისე მაინც განვითარებულია. მუსიკისგან განსხვავებით აქტიურობენ თეატრისა და კინომცოდნეები, რამდენიმე მათგანი კი მაყურებელში გემოვნების ჩამოყალიბებასაც განაპირობებს.

ეს უკანასკნელი უკვე გახლავთ მიზეზი, რათა ქვეყანაში კინორეცენზიების კულტურის დონემ აიწიოს, რასაც არასამთავრობო ორგანიზაცია Creative Club პროექტით "პროფესია კინომცოდნე" ეხმიანება და საქართველოს ეროვნულ კინოცენტრთან შეწყვილებულ კონკურსსა და მასტერკლასს გეგმავს. პროექტი 20-დან 22 ოქტომბრამდე გაგრძელდება. პირველ დღეს პროექტის მონაწილეები კინომცოდნე გოგი გვახარიას მასტერკლასს დაესწრებიან. მოისმენენ რეცენზიის წერის თეორიულ კურსს, შემდეგ კი პრაქტიკული სამუშაო დაიწყება: ნახავენ მოკლემეტრაჟიან ფილმს და მცირე რეცენზიებსაც დაწერენ. 21 ოქტომბერი კი კონკურსის დღეა - პროექტის მონაწილეებს ამჯერად სპეციალურად შერჩეულ სრულმეტრაჟიან ფილმს შესთავაზებენ (ფილმის სახელწოდებას, ასევე ქართული იქნება თუ უცხოური, კონკურსის პირობების თანახმად არ ვამხელთ). საუკეთესო კონკურსანტებს 22 ოქტომბერს დააჯილდოებენ. მესამე ადგილზე გასული ჯილდოს სახით 300 ლარს მიიღებს, მეორე ადგილოსანი ასი ლარით მეტს, ხოლო საუკეთესო რეცენზიის ავტორი საბანკო ანგარიშზე 500 ლარით შეივსებს.

მანამდე კი კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა შესარჩევი ეტაპი უნდა გაიარონ. 15 ოქტომბრამდე მისამართზე creativeclub.geo@gmail.com უნდა გააგზავნონ შევსებული აპლიკაცია და მაქსიმუმ სამგვერდიანი ესსე თემაზე "კინოსეანსი". ძირითადი კონკურსის 30 მონაწილეთა შორის სწორედ ისინი აღმოჩნდებიან, ვინც ამ თემას საუკეთესოდ გაშლის.

აღსანიშნავია, რომ გამარჯვებული სამეულის რეცენზიები პრესაში გამოქვეყნდება, ასევე გავრცელდება სოციალური ქსელის მეშვეობით. ეს კი დამწყები კინომცოდნეთათვის უდავოდ დამატებითი მოტივაციაა.

ახალგაზრდა შემოქმედთა ასოციაცია Creative Club-ის საქმიანობა ახალგაზრდებისთვის ინოვაციური პროექტების შემუშავებასა და შემოქმედებითი სტიმულის გაღვივებას ითვალისწინებს. მისი საქმიანობის არეალი პრაქტიკულად ყველა სახელოვნებო სფეროს მოიცავს: კინო, თეატრი, ფოტოგრაფია, მხატვრობა და სხვა. ასოციაცია ასევე გეგმავს და ახორციელებს საგანმანათლებლო პროექტებს, პროფესიულ სემინარებს, კონფერენციებსა და ტრენინგებს.

"პროექტი "პროფესია კინომცოდნე ჩვენი ორგანიზაციის მეორე პროექტია. პარალელურად სოფელ კარალეთში ბიბლიოთეკას ვქმნით, რისთვისაც საჯარო ბიბლიოთეკამ 400-მდე წიგნი გვაჩუქა, წიგნების დიდი ნაწილი კი შემოწირულობებით შევიძინეთ. "პროფესია კინომცოდნე" კონკრეტული მიმართულების პროექტია, რომელიც ამ დარგის დახვეწასა და ახალი სახელების აღმოჩენას ემსახურება. კინო ძალიან ბევრ ახალგაზრდას უყვარს, ზოგს კი მასზე წერის სურვილიც აქვს. ამ კონკურსის მეშვეობით მათ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება ეძლევათ, ხოლო გოგი გვახარიას მასტერკლასი ბევრ პროფესიულ საიდუმლოს აზიარებთ", - ამბობს Creative Club-ის დირექტორი და ზემოთ აღნიშნული პროექტის ავტორი მაკა კევლიშვილი.

აქვე აღვნიშნავთ, რომ კონკურსში მონაწილეობა ნებისმიერ მსურველს შეუძლია, თუმცა უპირატესობა მიენიჭება იმ სტუდენტებს, რომლებმაც მომავალ პროფესიად სწორედ კინოს რეცენზირება აირჩიეს.

NBA ჯერ ამთქნარებს

ზურაბ თალაკვაძე



რეიმონდ ფელტონი ნიუ იორკში დაბრუნდა

ანდრე იგუოდალა "დენვერში" გადავიდა

დუაიტ ჰოვარდი არ წუწუნებს და კალიფორნიაში ასდოლარიანისგან თვითმფრინავს გააკეთებს. და გაუშვებს. თუ წესიერად მოიქცევა, შეიძლება ჩემპიონი გახდეს. ფლორიდაში დარჩნენ ლებრონი, უეიდი, ბოში, რაშარდ ლიუისი, რეი ალენი და ახალი "ორლანდო". მაინც საინტერესოა. სან ანტონიოში ასაკთან ძმაკაცობენ და გრეგ პოპოვიჩი ტიმ დანკანის წუთებს, მანუ ჯინობილის მუხლებს და ტონი პარკერის ენერგიას გაუფრთხილდება. "სპურსი" ცოცხალია. მიკ ჯაგერივით. "ოკლაჰომაში" ახსოვთ, რომ სადღაც წაადგეს და იციან, რომ რაღაც უნდა მოიგონ. "ბოსტონში" ვერ დაიტოვეს ალენი და წამოიყვანეს ჯეისონ ტერი. სანდო და ელეგანტური ენტუან ჯეიმისონი "ლეიკერსის" მეექვსე კაცი გახდა.

რჩება სხვა თემებიც. ლიგაში პირველწლიანების საინტერესო დესანტი მოდის. თოკო შენგელიასთან ერთად. მირზა ტელეტოვიჩით. შეიცვალა რამდენიმე გუნდი და ამერიკაში დაბრუნდა ანდრეი კირილენკო. რამდენიმე მსუყე თემა ამ მიმოხილვაში გავიაროთ. NBA ჯერ ამთქნარებს და მალე აზრზე მოვა.

პატარა ბიჭები

კენტაკიდან "ნიუ ორლეანში" ფორვარდი ენტონი დევისი მივიდა. "შარლოტმაც" კენტაკის ახალგაზრდა კრიმინალი, მესამე ნომერი, მაიკლ კიდ-გილკრისტი გადაიბირა და "ვაშინგტონში" ბრედლი ბილი ვარჯიშობს. ბილი ფლორიდაში იყო, შუთერობს და თუ შეეხვეწებიან, პირველ ნომერზეც დადგება. ამ ბიჭებზე უკვე ბევრს წერენ და ჩარლზ ბარკლიმ თავის საავტორო ბლოგზე სამივეს კომპლიმენტები დაუტოვა. ბარკლიმ "კლივლენდის" არჩევანზეც თქვა, მიკვირს, რომ ეს ბიჭი აირჩიეს და თუ გაქაჩავს, კაირი ირვინგთან ერთად, დაახლოებით 40 ქულას წამოიღებსო. ჩარლზი დიონ უეითერსზე საუბრობს და სირაქიუზის მსროლელი ამ ნომრად არ უნდა აერჩიათ. "კლივლენდმა" ბიჭი მეოთხე ნომრად გაშანსა. კარგი არჩევანია. ლას ვეგასის საზაფხულო ლიგაზე უეითერსი ზედმეტი წონით ჩადის და ირვინგთან ერთად ვერ ვარჯიშობს. კაირის ხელი აქვს მოტეხილი. ირვინგი შარშან, პირველ სეზონში, 18.5 ქულას, 5.4 მოხსნას, 3.7 პასს იღებს და "კავალიერსის" ახალი ლებრონია. ყოველ შემთხვევაში, კლივლენდში უნდათ, რომ იყოს. და უეითერსმა ტრისტან ტომპსონსზე კარგად უნდა ითამაშოს. "კავალიერსის" გენერალურმა მენეჯერმა კრის გრანტმა ტომპსონი შარშან ასევე მეოთხე ნომრად აიყვანა და ფორვარდისგან 8.2 ქულა, 6.5 მოხსნა და ბევრი შეცდომა მიიღო.

დააჰაილაითეს "ჰიუსტონის" როის უაითიც. აიოვა სთეითის ფორვარდი სადღაც ჯეიმსია, სადღაც კევინ დიურანის მოძრაობით ასრულებს და აქვს ნორმალური საშუალო სროლა. ჰაკიმ ოლაჯუონმა თქვა, ვნახე და დაცვაშიც მშვენივრად დგასო. ჰაკიმის გვჯერა.

პატარა მწვრთნელები

რამდენიმე მწვრთნელს დებიუტი აქვს. გატეხილ სარკეში ჩაახედებენ და უსანთლო გვირაბში გაატარებენ "შარლოტის" ახალ მთავარ მწვრთნელს, მისტერ მაიკ დანლეპს. "ჰორნეთსი" ცუდი გუნდია. და შემდეგი ცუდი გუნდი, "ჰორნეთსთან" შედარებით, ლარი ბერდის და კევინ მაქჰეილის "ბოსტონია". "შარლოტის" მფლობელი მაიკლ ჯორდანი, გენერალური მენეჯერი რიკ ჩო და პრეზიდენტი როდ ჰიგინსი დანლეპის დისციპლინით და კიდ-გილკრისტის ნიჭით პროგრესს გეგმავენ და ხედავენ. ის, ვინც "კენტაკიში" ჯონ კალიპარის ჯოკერი იყო, დანლეპის ბენდშიც კარგი მოსასმენი სოლოისტი იქნება.

"ორლანდოში" ახალი მონასტერი ააშენეს და ლოცვებს ჟაკ ვონი წაიკითხავს. აღსარებასაც მიიღებს. და ვონი საქმეს გააკეთებს. დუაიტ ჰოვარდის გარეშე გააკეთებს. ჟაკი გრეგ პოპოვიჩის აკადემიაში (ორი სეზონით) ასისტენტი იყო და იცის, რომ შეცდომის უფლება ყველას აქვს. უბრალოდ, იგივე შეცდომა მეორედ არ უნდა დაუშვა. თუ შეცდომას იმეორებ, ან დაუნი ხარ, ან შენი დამქირავებელი ფეხებზე გკიდია. ვონი 37 წლის ჯარისკაცია, რომელსაც ნორმალური ოცეული ჩააბარეს. "სან ანტონიოდან" კარგი კადრები მოდიან.

რეინმენი

ნიუ იორკში რეიმონდ ფელტონი დაბრუნდა. "მედისონ სკვერ გარდენში" იმ არანორმალური პროფესორის დროის მანქანაა და მარტი მაკფლაის კეპი ფელტონმა დაიხურა. შემოიტრიალა სლაი სტალონეს სტილში და ახალი სეზონისთვის ემზადება. ფელტონი "ნიქსში" შარშანწინ ცელქობდა და რეიმ კარიერაში ყველაზე სრულყოფილი ფრაგმენტები "ნიქსს" აჩუქა. 54 თამაში, 17.1 ქულა, 9.0 პასი, 3.6 მოხსნა, 1.8 ჩაჭრა, კანონმორჩილი მოქალაქის იმიჯი არასაკალათბურთო ამბებში და ტრანსფერი "დენვერში". "ნიუ იორკმა" კარმელო ენტონი წამოიყვანა და ფელტონი კოლორადოში მიაგდეს. კარგი, ძალიან კარგი სეზონის შემდეგ მიაგდეს. "ნიქსმა" არ დაიტოვა ჯერემი ლინი და ჰარვარდის სტუდენტი "ჰიუსტონში" შეუბერავს. "როკეტსმა" ლინს სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა და ბიჭი ამ დროში 25 მილიონს აიღებს. "ნიქსს" შეეძლო ამ კონტრაქტის გადაფარვა და არ გადაფარა. "ნიქსმა" ჯეისონ კიდი და ფელტონი დააკონტრაქტა. რეინმენი შარშან - "პორტლენდში", 60 ტესტი, 11.4+6.5 პასი+2.5 მოხსნა+1.3 ჩაჭრა+2.8 შეცდომა. "ნიქსი" სხვა თემაა. ფელტონი მოუმატებს.

ახალი "დენვერი"

მე მომწონს "დენვერი". "ნაგეთსი" თქვენც მოგეწონებათ. და "დენვერი" მოსწონს "დენვერის" მთავარ მწვრთნელს, მისტერ ჯორჯ კარლს. "სიეტლთან" ერთად ჯორჯი სუპერფინალში გადის და იქ არარეალურ "ჩიკაგოსთან" ვერ იგებს (2:4). იმ "სიეტლში" შონ კემპი ცუდი ბიჭი იყო, დეტლეფ შრემფი შარმით, ელეგანტურად გკლავდა, გარი პეიტონი ყველაფერს იპარავდა და აგროვებდა. პეიტონი სერიოზული ბიჭია.

"დენვერში" სხვა ბანდაა. სხვა სტილი, უფრო მოქნილი, სწრაფი გუნდი და იმ "სიეტლზე" უარესი დაცვა. ეს "დენვერი" სისწრაფით გისრულებს და კოჭებში გამტვრევს. "ნაგეთსის" ლიდერი ანდრე მილერია. მოხუცი ფლეიმეიქერი, რომელიც მეთოთხმეტე (14) რეგულარულს დაიწყებს. მილერს 14 710 (14.1) ქულა და 7 472 (7.2) პასი აქვს. კალათბურთის ბრიუს უილისი. დაიღალა და ჯერ არ მიდის. და ბრიუსივით ჯიუტი და პოპულარულია. მილერთან ერთად გადახსნიან დაცვებს იტალიელი მოდელი დანილო გალინარი (შარშან 14.6+4.7 მოხსნა+2.7 პასი), პრედატორი კენეტ ფარიდი (10.2+7.7 მოხსნა), "ნაგეთსის" ბულდოგი, ტაი ლოუსონი (16.4+6.6 პასი+3.7 მოხსნა+1.3 ჩაჭრა), სამიდან ერთ-ერთი ან სამივე ცენტრი ტიმოფეი მოზგოვის, ჯავაილ მაკგის და კოსტა კუფოსის შემადგენლობით.

"დენვერში" სერიოზული პერსონა მივიდა. "ნაგეთსმა" "სიქსერზიდან" კაპიტანი, ანდრე იგუოდალა დაირტყა. სადისტი დამცველი. ჯორჯ კარლმა ამ გენერაციის პეიტონი მიიღო და "დენვერი" ბევრ ფავორიტს დასვამს ტენოქსის დიეტაზე. "ნაგეთსში" იგუოდალა თავის საქმეს მიხედავს და ანდრე უნივერსალია. ფრედი კრიუგერმა "ფილადელფიაში" ბოლო სეზონი ნორმალურად დახურა (12.4+6.1 მოხსნა+5.5 პასი+1.7 ჩაჭრა). კარიერით - 15.3 ქულა, 5.8 მოხსნა, 4.9 პასი, 1.7 ჩაჭრა.

"დენვერი" ბევრის ფავორიტი იქნება.

ბაინუმის თემა

ბაინუმს ყოველი სეზონის წინ პოტენციალის და ნიჭის დიდ ინიექციას უკეთებდნენ. ენდრიუს ორგანიზმი იბზარებოდა, ტყდებოდა და ცენტრი ასაწყობი იყო. "ლეიკერსში" ბიჭი მესამე ოფციაა. ჯერ დააკმაყოფილებენ კობის. მერე მოდის სენიორ გასოლი. ბაინუმი აგრესიით შლიდა სამწამიანის კედელს და იქ შაკივით თუ ვერ ტრიალებდა, ასაღებს მაინც იღებდა. ბაინუმი ჭკვიანი ახალგაზრდაა, რომელიც "ფილადელფიაში" მეტ დროს, ნდობას და შანსს მიიღებს.

ჰოვარდი ბაინუმზე სრულყოფილი დამცველია და იქ, სხვის სამწამიანში, ენდრიუ უფრო ბევრ ვარიანტს გიტოვებს. ბაინუმში ცოტა დევიდ რობინსონია. ცოტაც ალონზო მურნინგი. უმნიშვნელო დოზით - პატრიკ იუინგი და ჯერ არ ჩანს ჰაკიმ ოლაჯუონის თემა. თუ ენდრიუ ჰაკიმის აზროვნებასაც ჩაიგდებს ენის ქვეშ, ბაინუმი იდეალური მკვლელი იქნება. ტერმინატორი, რომელიც "ფილადელფიას" ბევრ ტესტს მოაგებინებს. ბაინუმს სამწამიანის დაცვაში კიდევ ერთი ახალი ცენტრი, კვამე ბრაუნი (კარიერით, 6.8 ქულა და 5.6 მოხსნა) დაეხმარება.

დაგ კოლინზის დაცვაში ენდრიუ დაიტვირთება და პერიმეტრზე, სხვისი ტერიტორიის ათვისების პროცესში, ბაინუმს დაეხმარებიან ნიკ იანგი, ჯეისონ რიჩარდსონი და დორელ რაითი. სამი კარგი მსროლელი და იქვე დადიან ივან ტერნერი და ჯრუ ჰოლიდეი. ნიჭიერი ბანდა. კოლინზმა უნდა დაისვენოს. შარშან "ფილადელფიამ" პირველ წრეში (დერიკ როუზის გარეშე დარჩენილი) "ბულზი" და მერე "სელტიქსიც" დაღალა, სერია მეშვიდე გარჩევამდე მიიყვანა და 3:4 წააგო.

ბოგატი და "გოლდენ სტეიტი"

"გოლდენ სტეიტი" უკეთესი გუნდია და სადღაც იქ, ფლეი-ოფის ზონასთან ირბენს, ჩაკბეჩილ, გადაგდებულ ჩიზბურგერს აიღებს და ვინმეს მტკივნეულად უკბენს. "გოლდენ სტეიტი" მგლების ბანდაა და ბოსებმა რუსტერში თეთრი მგელი, ავსტრალიელი ცენტრი ენდრიუ ბოგატი მიიყვანეს. დიკემბე მუტომბოს დონის დამცველი და ჭკვიანი ტიპი.

ხუთი წლის წინ "გოლდენ სტეიტმა" ფლეი-ოფის პირველ წრეში დასავლეთის პირველი ნომერი, "დალასი" დაცალა სისხლისგან. იმ გუნდის მთავარი მწვრთნელი იყო დონ ნელსონი და ის გუნდი თამაშობდა სლოგანით We Believe.

"უორიორზი" მოიგებს ბევრს, თუ:

1. 27 წლის ბოგატი (კარიერით 12.7 ქულა, 9.3 მოხსნა, 2.3 პასი, 1.6 დაფარება) არ დაილეწება.

2. მსროლელი კლეი ტომპსონი არ დააგდებს ტემპს და შარშანდელ სტატისტიკას (12.5+2.4 მოხსნა+2.0 პასი) უფრო მეტ ორნამენტში ჩასვამს.

3. მეორეწლიანი მთავარი მწვრთნელი მარკ ჯექსონი ბიჭებს შეაგნებინებს, რომ ბოგატი ახალი ლიდერია.

4. სტივენ კარის მუხლები არ დაიშლება და ბიჭი თავის 15 ქულას და 5 პასს აიღებს.

5. მძიმე ფორვარდი დევიდ ლი (შარშან - **20.1**+9.6 მოხსნა+2.8 პასი, კარიერით - 14.3+9.6 მოხსნა+2.2 პასი) ბოგატთან ერთად ბოლომდე და სტაბილურად იძმაკაცებს.

"გოლდენ სტეიტი" საინტერესო პროდუქტია. ალბათ, ჯერ არ არის მზად ფლეი-ოფისთვის. ალბათ, ბოგატთან ერთად შეიცვლება. ენდრიუ კლასია.

სეზონის შემდეგ დაასახელებენ ხუთეულებს:

I: **ლებრონ ჯეიმსი** (მაიამი), **კევინ დიურანი** (ოკლაჰომა), **ენდრიუ ბაინუმი** (ფილადელფია), **კობი ბრაიანტი** (ლეიკერსი), **ტონი პარკერი** (სან ანტონიო).

II: **კევინ ლავი** (მინესოტა), **კარმელო ენტონი** (ნიუ იორკი), **დუაიტ ჰოვარდი** (ლეიკერსი), **კრის პოლი** (კლიპერსი), **რასელ უესთბრუქი** (ოკლაჰომა).

III: **ბლეიქ გრიფინი** (კლიპერსი), **ლამარკუს ოლდრიჯი** (პორტლენდი), **ტაისონ ჩენდლერი** (ნიუ იორკი), **კაირი ირვინგი** (კლივლენდი), **რაჟონ რონდო** (ბოსტონი).

ვისენტე დელ ბოსკე: "ქართველებმა ბეტონის კედელი აღმართეს"

მიმდინარე კვირაში ვარშავაში უეფას მწვრთნელთა მეათე კონფერენცია გაიმართა. ამ ღონისძიების ყველაზე ტიტულოვანი და საპატივსაცემო მონაწილე მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ვისენტე დელ ბოსკე გახლავთ. ადამიანი, რომელსაც სამწვრთნელო კარიერაში პრაქტიკულად ყველაფერი აქვს მოგებული. "რეალის" მწვრთნელის რანგში დელ ბოსკემ ესპანეთის ჩემპიონატი და ჩემპიონთა ლიგა მოიგო, "ფურია როხას" თავკაცის რანგში კი ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატები. პოლონეთის დედაქალაქში დელ ბოსკე მუდმივად ყურადღების ცენტრში იყო, სამშობლოში დაბრუნებულმა კი პოპულარულ ესპანურ გამოცემა "მარკას" მისცა ინტერვიუ, რომელშიც ერთი კითხვა მთლიანად საქართველოს ნაკრებს დაეთმო.

- ის თბილი და სასიამოვნო სიტყვები, რომლებიც ვარშავაში მოვისმინე საკუთარ თავზე არ მიმიღია. ეს ესპანური ფეხბურთის მიღწევების აღიარება გახლდათ. მეამაყება, რომ ჩვენი გუნდის თამაში ესოდენ მაღალ შეფასებას იმსახურებს.

- კოლეგების უმეტესობა "რაინდად" მოგიხსენიებთ, ზოგიერთი კი, მაგალითად, სინიშა მიხაილოვიჩი "ბაბუს" გიწოდებთ, არა ასაკის, არამედ კეთილი ხასიათის გამო...

- აბა რა გითხრათ. ვცდილობ საკუთარი ქვეყანა საუკეთესო მხრიდან წარმოვაჩინო. ჩემი პროფესიის ადამიანის უმთავრესი მოვალეობა ფეხბურთის სიყვარულია. წარმატება და პოპულარობა მხოლოდ ამის შემდეგ მოდის.

- რა გრძნობა გეუფლებათ, როდესაც თქვენს ღვაწლს ერთნაირად კარგად აფასებენ ისეთი განსხვავებული ადამიანები, როგორებიც არიან ფაბიო კაპელო, დიდიე დეშამი, ლუის ვან გაალი და როი ჰოჯსონი?

- მადლიერების გრძნობა. რასაც შემდეგ აუცილებლად მოჰყვება იმის შეგრძნება, რომ მიღწეულზე შეჩერება დაუშვებელია. საჭიროა მუშაობა და მომავალზე ფიქრი.

- ამდენი ქება მუშაობის სურვილს არ გაგინელებთ?

- არა მგონია. ჩვენ ესპანეთის ნაკრების მწვრთნელებს გაგვიმართლა: ჩვენ მუდმივად ვმუშაობთ საუკეთესო ფეხბურთელებთან. საუკეთესო ფეხბურთელები კი ის ადამიანები არიან, რომელთა მოვალეობაში შედის ყოველკვირეული გამარჯვებები. მოგება მათი ყოველდღიური ამოცანაა. გარკვეულწილად რუტინული სამუშაო. იშვიათი მარცხი მათ საშინელ ტკივილს აყენებს. თითოეულმა ჩვენგანმა მათგან მაგალითი უნდა აიღოს და სულის სიღრმეში ნამდვილი სპორტსმენი იყოს.

- კონფერენციაზე კოლეგების წინაშე სიტყვით გამოხვედით. როგორ აღწერეთ ესპანეთის ნაკრების სათამაშო სტილი და თქვენი მუშაობის მეთოდები?

- ფეხბურთი მრავალმხრივია. წარმატება სხვადასხვა სტილმა შეიძლება მოიტანოს. გრძელი გადაცემებით თამაში, მოკლე პასების ტაქტიკა, შეიძლება აქცენტი მიწაზე თამაშზე გააკეთო, შესაძლოა უპირატესობა თავით თამაშს მიანიჭო. ჩვენ აქცენტს ბურთის ფლობაზე და მუდმივ შეტევაზე ვაკეთებთ. თავად განსაჯეთ 2010 წლის მუნდიალის ფინალურ ეტაპზე და ევრო 2012-ზე 13 მატჩში მხოლოდ სამი გოლი გავუშვით. 1230 წუთში გაშვებული სამად სამი გოლი. ეს ნათელი დასტურია, რომ ჩვენი შემტევი ფეხბურთი დაცვაში უკეთ თამაშის გარანტიებსაც გვაძლევს. ჩემი აზრით, შეტევისა და დაცვის იდეალური ბალანსი ვიპოვეთ.

- ანუ თქვენ მაღალ შეფასებას აძლევთ ესპანეთის ნაკრების დაცვის ხაზის თამაშს?

- რა თქმა უნდა. დიახ, ყველაფრის რეცეპტი არ არსებობს. ჩვენი სტილი ერთადერთი და გაგებული. ჩვენ ნამდვილად ვერ ვეტყვით მეტოქეს როგორი ტაქტიკით ითამაშოს ჩვენს წინააღმდეგ. ყველა გუნდს თავისი იარაღი აქვს. ყველა მწვრთნელი თავისი გუნდის საუკეთესო მხარეების გამოყენებას ცდილობს. როდესაც საქართველოს ნაკრებთან სათამაშოდ ვემზადებოდით ვიცოდით, რომ მეტოქე დაცვიდან ითამაშებდა. თუმცა ვფიქრობდი, რომ საქართველოს ნაკრების ფორვარდები მეტ პრობლემას შეგვიქმნიდნენ. საქმეზე კი ნუმეორებელი არაა, შესაძლოა საუკეთესოც არ იყოს. თუმცა პირადად მე ვამჩნევ, რომ სულ უფრო ხშირად მწვრთნელები ცდილობენ თავისი გუნდები იმავე სტილში ათამაშონ, რომელშიც ესპანეთის ნაკრები თამაშობს.

- ესპანეთის ნაკრების სათამაშო სტილის ერთ-ერთი მთავარი მომენტი ბურთის ართმევაა.

- დიახ. ბურთის ართმევაზე თამაშს იმწამსვე ვიწყებთ, რაწამს ბურთს ვკარგავთ. რაც უფრო ახლოს ვიწყებთ მეტოქის საჯარიმოსთან პრესინგს, მით უფრო ადრე ვიბრუნებთ ბურთს. ანუ გაცილებით ნაკლებ ენერგიას დავხარჯავთ იმაზე, რომ ბურთი კვლავ მეტოქის საჯარიმოსთან დავაბრუნოთ. ამასთან ერთად, რაც უფრო დიდხანს არის ბურთი მეტოქის ნახევარზე ნაკლებად იტვირთება ჩვენი დაცვა და შესაბამისად, ნაკლებად ცდება.

- ხომ არ შიშობთ, რომ გუნდების უმეტესობა ესპანეთის ნაკრებთან ისევე ითამაშებს, როგორც საქართველოს ნაკრებმა - ყრუ დაცვიდან.

- ჩვენ ნამდვილად ვერ ვეტყვით მეტოქეს როგორი ტაქტიკით ითამაშოს ჩვენს წინააღმდეგ. ყველა გუნდს თავისი იარაღი აქვს. ყველა მწვრთნელი თავისი გუნდის საუკეთესო მხარეების გამოყენებას ცდილობს. როდესაც საქართველოს ნაკრებთან სათამაშოდ ვემზადებოდით ვიცოდით, რომ მეტოქე დაცვიდან ითამაშებდა. თუმცა ვფიქრობდი, რომ საქართველოს ნაკრების ფორვარდები მეტ პრობლემას შეგვიქმნიდნენ. საქმეზე კი სხვაგვარად გამოვიდა. ქართველებმა საკუთარ საჯარიმოსთან ბეტონის კედელი აღმართეს. საქართველოს ნაკრების ფორვარდები ხშირ შემთხვევაში განაპირა მცველების პოზიციაზეც კი თამაშობდნენ. ქართველები აკეთებდნენ იმას, რაც მათი აზრით, წარმატებას მოუტანდა. ჩვენ კი უნდა გვეკეთებინა ის, რაც ყველაზე კარგად გამოგვდის. არა მგონია, რომ ჩვენს წინააღმდეგ ყველამ ისე ითამაშოს, როგორც საქართველოს ნაკრებმა.

- საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დიდიე დეშამმა განაცხადა, რომ ესპანელები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჯგუფში პირველ ადგილს თავისით თუ დაკარგავენ, თორემ სხვას "ფურია როხასთვის" პირველობის წართმევის შანსი არ აქვსო.

- დიახ, ფრანგები დიდი პატივისცემით გვეპყრობიან. თუმცა თავად მშვენივრად ესმით, რომ ბრწყინვალე გუნდი ჰყავთ. სულ მალე ფრანგებს პარიზში დავუპირისპირდებით, მაგრამ ახლა უფრო ბელორუსთან თამაშზე ვფიქრობ.

- კვლავ მოგიწევთ ბეტონის კედლის გარღვევა?

- აბა რა გითხრათ, სავარაუდოდ საფრანგეთის ნაკრებთან მაინც ასე არ იქნება.

- რა წიგნს კითხულობთ ახლა?

- ახლახან დავასრულე "ორი ცხოვრების" კითხვა, წიგნი, რომელიც ხერარდ პიკეს მამამ დაწერა. ბრწყინვალე ნაწარმოებია.

- ბოლო ხანს კატალონიელი პოლიტიკოსები სულ უფრო ხშირად საუბრობენ კატალონიის დამოუკიდებლობაზე. შეგიძლიათ, თუ არა წარმოიდგინოთ კატალონიისა და ესპანეთის ნაკრების თამაში?

- არა, ამის წარმოდგენა არ შემიძლია. საერთოდ პოლიტიკაზე საუბრის მოყვარული არ ვარ. თუმცა ერთ რამეს მაინც ვიტყვი. უდიდეს პატივს ვცემ კატალონიელებს, მათ სრული უფლება აქვთ მშვიდობიანი გზით დაიცვან საკუთარი იდეალები. სულ მცირე ძალაუფლებაც, რომ მქონდეს, ყველაფერს გავაკეთებდი, რომ ესპანეთი კატალონიასთან დამეახლოვებინა. კატალონია კი ესპანეთთან. თანამედროვე სამყაროში სულ უფრო ცოტა საზღვრები რჩება, აბა ამიხსენით ჩვენ რატომ უნდა შევქმნათ ახალი საზღვრები. ნუთუ უკეთესი არ იქნება, რომ ადამიანები ერთმანეთის მიმართ უფრო კეთილგანწყობილი გახდნენ.

მოურინიო ზიდანსაც იცილებს

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ზინედინ ზიდანი "რეალს" დატოვებს. შეგახსენებთ, რომ ლეგენდარული ფრანგი "სამეფო კლუბის" საფეხბურთო დირექტორად მას შემდეგ დაინიშნა, რაც მოურინიოს მოთხოვნით "რეალი" ხორხე ვალდანოს დაატოვებინეს. ახლა კი ეტყობა მოურინიოს ზიდანის მოცილებაც სურს. "ზიდანი ამბობს, რომ მას არანაირ უფლებამოსილებას არ აძლევენ, მაგრამ არც მისგან გვიგრძვნია ინიციატივა", - აცხადებს მოურინიო.

თავის მხრივ, ზიდანი ამბობს, რომ გუნდში მას არანაირი გადაწყვეტილების მიღების უფლება არ აქვს და ამის გამო "რეალიდან" წასვლა უნდა.

სილვა "სიტის" ერთგულია

"მანჩესტერ სიტის" ნახევარმცველმა დავიდ სილვამ განაცხადა, რომ არ აპირებს კლუბის დატოვებას.

"კონტრაქტი გავაგრძელე ვინაიდან კლუბში ყველაფრით კმაყოფილი ვარ. ვიმედოვნებ, რომ ჩვენი გუნდის პროგრესი გაგრძელდება და ტიტულებისთვის კვლავ ვიბრძოლებთ. ვფიქრობ აწმყოზე და არა მომავალზე. მინდა ფეხბურთის თამაშით სიამოვნება მივიღო. ჩემს კონტრაქტში არ არის პუნქტი, რომლის თანახმადაც "რეალიდან" ან "ბარსელონადან" მოწვევის შემთხვევაში კლუბს დავტოვებდი", - ამბობს დავიდ სილვა.

ტურინული წყევლა

"იუვენტუსის" მთავარი მწვრთნელი ანტონიო კონტე მოვალეობის შესრულებას დროებით ჩამოცილებულია, ვინაიდან კონტე ჩაწყობილ თამაშებში მონაწილეობაშია ეჭვმიტანილი და მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეც კი აღიძრა. კონტეს შემდეგ სისხლის სამართლის საქმე მისი თანაშემწის მასიმო კარერას წინააღმდეგაც აღძრეს. (სწორედ კარერა ასრულებდა "იუვეს" მთავარი მწვრთნელის ფუნქციებს კონტეს არყოფნაში), თუმცა ამჯერად ჩაწყობილი თამაშები არაფერ შუაშია. კარერა ავტოსაგზაო შემთხვევის მონაწილეა, რომელსაც ორი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

2011 წლის ახალი წლის ღამეს მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა. ტრასაზე სამი ავტომობილი შეეჯახა ერთმანეთს, როდესაც მძღოლები მანქანებიდან გადმოვიდნენ კარერას "მერსედესი" უკვე გაჩერებულ "ფორდს" შეეჯახა. მანქანაში მყოფი ერთი ქალბატონი ადგილზე გარდაიცვალა, მეორე კი საავადმყოფოში.

ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება და თუ კარერას ბრალეულობა დამტკიცდა მას პატიმრობა ელის.

ამრიგად, "იუვენტუსის" მთავარი მწვრთნელის სავარძელი, როგორც ჩანს, დაწყევლილია. ამ სავარძელში მჯდომ ბოლო ორ ადამიანს ციხე ემუქრება.

მოწევა აკრძალულია

იტალიის შინაგან საქმეთა სამინისტრო ამზადებს პროექტს, რომელმაც შესაძლოა საგრძნობლად შეამციროს იტალიურ სტადიონებზე დასწრება.

საქმე ისაა, რომ იტალიის მთავრობა ტრიბუნებზე მოწევის აკრძალვას აპირებს და მწეველებს სტადიონზე შესვლა გაუჭირდებათ. თავისთავად ტრიბუნებზე მოხვედრა ცხადია პრობლემა არაა, მაგრამ მწეველი ადამიანისთვის მთელი მატჩის განმავლობაში უსიგარეტოდ ყოფნა პრაქტიკულად შეუძლებელია.

იტალიელებმა აშშ-ს გამოცდილების გაზიარება გადაწყვიტეს. ამერიკის სტადიონებზე კარგა ხანია აკრძალეს მოწევა.

ბუფონი 2017 წლამდე

ჯანლუიჯი ბუფონსა და ტურინის "იუვენტუსს" შორის გასაფორმებელი ახალი კონტრაქტი 2017 წლამდე იქნება გათვალისწინებული. ამჟამად ახალ კონტრაქტთან დაკავშირებით ინტენსიური მოლაპარაკება მიმდინარეობს. ჯერჯერობით გადაწყდა, რომ ახალი კონტრაქტის ვადა 2017 წელს უნდა ამოიწუროს, როდესაც ჯიჯის 39 წელი შეუსრულდება.

როსელის შეუსრულებელი მისია

კატალონიური "ბარსელონას" პრეზიდენტმა სანდრო როსელმა ერთი მეტად რთული და პრაქტიკულად შეუძლებელი მისია დაისახა მიზნად. როსელს სურს "რეალისა" და ესპანეთის ნაკრების მცველის სერხიო რამოსის შეძენა.

"სერხიო რამოსი "ბარსაში"? არასოდეს თქვა არასოდეს. მიუხედავად ამისა, ვაღიარებ: მისი შეძენა ძალიან ძნელი იქნება.", - განაცხადა როსელმა.

ალბათ, იცით, რომ ჟოზე მოურინიოსა და სერხიო რამოსს შორის შავმა კატამ გაირბინა და მცველი ზამთრის სატრანსფერო პერიოდში, სავარაუდოდ, კლუბს შეიცვლის.

ამავდროულად გეტყვით, რომ კატალონიური კლუბი იანვრის სატრანსფერო პერიოდში "ტოტენჰემის" ნახევარმცველის გარეტ ბეილის გადაბირებასაც შეეცდება. უელსელს "ტოტენჰემთან" 2015 წლამდე აკავშირებს კონტრაქტი და მისი გამოსასყიდი თანხა 25 მილიონი გირვანქაა. თავად ბეილი ჯერჯერობით არაფერს ამბობს, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ "ბარსაში" გადასვლაზე უარს არ იტყვის.

იოკოძუნამ ნათლობა მიიღო

70-ე იოკოძუნა ჰარუმაფუჯიმ, რომელმაც ახლახანს დაიდგა უმაღლესი წოდება, იაპონიის ერთ-ერთ უმთავარეს წმინდა ადგილზე - სინტოისტურ სატაძრო კომპლექს მეიძი ძინგუში სპეციალური ნათლობა გაიარა. მონღოლმა გოლიათმა დოჰიოს გასვლის რიტუალი (იოკოძუნა დოჰიო-ირი) სირანუის სტილში 3 000 ქომაგის თვალწინ შეასრულა.

28 წლის ჰარუმაფუჯიმ იმ საზეიმო მავაშში გახლავთ შემოსილი, რომელის თავის დროზე მის აღმზრდელ მწვრთნელს - 63-ე დიდ ჩემპიონ ასაჰიფუძის ეკუთვნოდა. მონღოლი სეკიტორის ასისტენტები მის დარად ისეგაჰამას სკოლის წარმომადგენლები ამინიშიკი და ტაკარაფუძი იყვნენ.

აღსანიშნავია, რომ ამინიშიკი იმ ცერემონიალის მონაწილეც გახლდათ, რომელიც ტოკიოში მდებარე მეიძი ძინგუში 2007 წლის 1 ივნისს შედგა. მაშინ რიგით 69-ე იოკოძუნად "თეთრ ფენიქსად" წოდებული ჰაკუჰო ეკურთხა.

ერთი საინტერესო დეტალიც. დოჰიო-ირის დროს ჰარუმაფუჯიმ უნრიუსთან შედარებით უფრო შემტევი სტილის მქონე სირანუი აირჩია და ეს მიუხედევად იმისა, რომ აღნიშნული გარკვეულწილად დანავსულ ქმედებად ითვლება.

ცნობისთვის, სირანუი ჯერ კიდევ მე-19 საუკენეში მოღვაწე რიგით მე-11 იოკოძუნა გახლდათ და სტილსაც სახელი მის უკდავსაყოფად ეწოდა. სხვა საქმეა, რომ მიმდევრებს საქმეები კარგად ნამდვილად არ მისდიოდათ.

მაგალითად, ფუტაჰაგურო სუმოს სამყაროდან იოკოძუნასთვის შეფერებელი ქმედებებისთვის იქნა განდევნილი, ტამანოუმი აპენდიციტზე წარუმატებელი ოპერაციის შედეგად გარდაიცვალა, ასაჰიფუძიმ კარიერის პიკზე ასვლის შემდეგ, მხოლოდ 1 ტურნირის მოგება მოახერხა, ხოლო ვაკანოჰანა მესამემ კი საერთოდაც ვერცერთ შეჯიბრზე ვეღარ იმარჯვა.

დასასრულ შეგახსენებთ, რომ ჰარუმაფუჯი მხოლოდ მეხუთე უცხოტომელია, რომელიც იაპონელთა ეროვნული ჭიდაობის დიდ ჩემპიონთა პანთეონში მოხვდა. ბიამბადორჯ დავაანიამდე აღნიშნულ წარმატებას ჰავაელებმა აკებონომ და მუსასიმარუმ და მონღოლებმა - ასაშორიუმ და ჰაკუჰომ მიაღწიეს.

გიორგი ცინცაძისთვის "ბუდეველნიკი" დროებითი თავშესაფარი არ არის

პირველი გვერდიდან

მინდა ვითამაშო და დავამტკიცო, რომ აქ ტყუილად არ მოვსულვარ. ჯერ-ჯერობით ყველაფერი მომწონს - სიმპათიური ქალაქი, კარგი კლიმატი. ისიც მიხარია, რომ ენის ბარიერი არ მექნება - თავისუფლად ვსაუბრობ როგორც რუსულად, ისე ინგლისურად, რომლითაც ტარდება ვარჯიშები. რა თქმა უნდა, ეს ადაპტაციისთვის დიდი პლუსია. ამასთან, არტურ დროზდოვს ჯერ კიდევ "დონეცკში" ერთად თამაშიდან ვიცნობ.

- რატომ არჩიეთ "ბუდეველნიკი"?

- გულახდილად გეტყვით: როდესაც კლუბმა წინადადებით მომმართა, ბევრი არ მიფიქრია. მქონდა ტრავმა, რომელიც საშუალებას არ მაძლევდა შევსულიყავი სასურველ ფორმაში. ჯერ ტრავმა, მერე - ხანგრძლივი აღდგენითი პროცესი, მოგვიანებით - დაბრუნებასთან დაკავშირებული სირთულეები, კონდიციებში შესვლა. ყველაფერი ეს ადვილი არ იყო, მაგრამ ძალიან მინდოდა მოედანზე დაბრუნება, რომ ყველასთვის მეჩვენებინა ის თამაში, რომელიც შემიძლია.

ჩემი თავდაპირველი მიზანი იყო დავხმარებოდი ნაკრებს და მეპოვა კლუბი, რომელიც იასპარეზებდა ევროარენაზე. როდესაც საქართველოს ნაკრების განკარგულებაში ვიყავი, აგენტმა დამირეკა და მითხრა, რომ "ბუდეველნიკი", რომელიც ევროთასზე თამაშობდა, ჩემით იყო დაინტერესებული. დავინტერესდი ფინანსური მხარით, რამაც სრულიად დამაკმაყოფილა. ამიტომ ახლა აქ ვარ. მიზანი მიღწეულია. ახლა ახალი მიზანი უნდა დავისახო.

- "ბუდეველნიკი" რომ არა, სად შეიძლებოდა აღმოჩენილიყავით?

- ეთიკის პრინციპებიდან გამომდინარე, კლუბს არ დავასახელებ. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ საფრანგეთის ჩემპიონატის ნარმომადგენელია.

- თქვენი აგენტი ახსენეთ. ახლა ბევრი კლუბი უნდობლად უყურებს საკალათბურთო აგენტებს! თქვენი ახალი გუნდის მწვრთნელმა აინარს ბაგატსკისმა ინტერვიუში თქვა, რომ თავადაც უკმაყოფილოა ამ პროფესიის წარმომადგენელთა მუშაობით! თქვენი აზრით, რატომ ხდება ასე?

- არ ვიცი და ამიტომ არც მინდა ამაზე საუბარი. მხოლოდ საკუთარ თავზე შემიძლია ლაპარაკი. დიდი ხანია ვიცნობ ჩემს აგენტს, რომელიც ჩემთვის არა უბრალოდ საქმიანი პარტნიორია, არამედ მეგობარიც. მას სრულიად ვენდობი!

"დონეცკის" ვარიანტიც სწორედ მისი შემოთავაზებულია. რაც შეეხება მწვრთნელს, მასაც პირადად ვიცნობდი - საქართველოში მუშაობისას გადაიკვეთა ჩვენი გზები.

- დონეცკში გატარებული დრო რითი დაგამახსოვრდათ?

- როგორ გითხრათ... შევკრიბეთ კარგი გუნდი, გავახმოვანეთ გეგმები, ცოტა წავითამაშეთ და შევწყვიტეთ არსებობა. ჩემთვის ეს მეტად უჩვეულო შეგრძნება იყო.

- უკვე თქვით, რომ უახლოესი მიზნები მიღწეულია. რას იტყვით დონეზე, როგორ აფასებს საკუთარ თავს გიორგი ცინცაძე?

- ძნელია საკუთარი თავის შეფასება... მაინც შევეცდები. ჩემს დღევანდელ მდგომარეობას განვსჯი ევრობასკეტზე თამაშით. ჩვენმა ნაკრებმა დავალება შეასრულა, მე კი მასში არცთუ უმნიშვნელო როლს ვასრულებდი. სტატისტიკა ამბობს, რომ საკმაოდ სასარგებლო ვიყავი როგორც ჩემი უშუალო ვალდებულებების შესრულებისას, ისე ბურთის ართმევაში, ჩაჭრასა და რეალიზაციაში. ამასთან, მოედანზეც საკმარის დროს ვატარებდი.

- ეროვნული ნაკრების გამოსვლით კმაყოფილი ხართ?

- ძალიან კმაყოფილი ვარ. ქართული სპორტის სათამაშო სახეობებიდან პირველები ვართ, ვინც ევროფორუმზე მეორედ გავედით! ისე, პირველებიც ჩვენ ვიყავით - 2011 წელს ლიტვაში ევრობასკეტზე ვითამაშეთ. ბედნიერი ვარ, რომ ეროვნული გუნდის ნაწილი ვარ. ყოველთვის დიდი სიამოვნებით ჩავდივარ ნაკრების თამაშებზე და ეს გრძელდება აგერ უკვე რვა წელიწადია! აქ არიან ჩემი მეგობრები. ყველა ჩვენგანი თავს ისე გრძნობს, როგორც ერთი დიდი ოჯახის წევრი.

- ნაკრების წევრებიდან ყველაზე მეტად ვისთან მეგობრობთ?

- ყველა ვმეგობრობთ, და, რაც მთავარია, ოჯახებით! კარგი ურთიერთობა მაქვს მანუჩარ მარკოიშვილთან, თორნიკე შენგელიასთან, ზაზა ფაჩულიასთან.

- და მაინც, ვისთან ყველაზე მეტად?

- თუ ასე დაჟინებით ითხოვთ, ვიქტორ სანიკიძესთან!

- როგორც კალათბურთელი, ბოლო წლებში შეიცვალეთ? კიეველი გულშემატკივრები როგორ ცინცაძეს იხილავენ?

- ჩემი აზრით, საგრძნობლად შევიცვალე. არა ოსტატობის დონით, არამედ კალათბურთის მიმართ ფსიქოლოგიური დამოკიდებულებით. კარგ მაგალითად შეიძლება გამოდგეს ყველასთვის ცნობილი ნიჭიერი ევროპელი ახალგაზრდების გამოსავლენი Adidas Eurocamp-ის ტურნირი იტალიაში. პირველად იქ წავედი სრულიად ახალგაზრდა, სადაც იმყოფებოდნენ სკაუტები ევროპის ტოპ კლუბებიდან, მათ შორის, NBA-ს გუნდებიდანაც. მაშინ ყველა გუნდურ კალათბურთს თამაშობდა, ყველას საკუთარი ინდივიდუალური ოსტატობის გამოვლენა სურდა. გამონაკლისი არც მე ვყოფილვარ.

ერთი სიტყვით, ჩემმა თამაშმა ყველაზე მოახდინა შთაბეჭდილება. ბევრი რამ გამომდიოდა და რამდენიმე დღეში კარგი წინადადებები მივიღე. იყო პირიქითაც. 20 წლის რომ ჩავედი იმავე კემპზე, სრულიად სხვაგვარად ვითამაშე. სხვანაირად თამაში აღარ შემეძლო, რადგან პირველ ნომრად თამაშის კარგი გამოცდილება მქონდა. როდესაც გავრბოდი და ვხედავდი თავისუფალ პარტნიორს, ავტომატურად ვაწვდიდი პასს. ასეთმა ცინცაძემ კი სკაუტებზე ვერავითარი შთაბეჭდილება ვერ მოხდინა. ახლა ბევრად უფრო გამოცდილი გამთამაშებელი ვარ, ორიენტირებული პასზე. სწორედ ასეთს მიხილავენ "ბუდეველნიკის" მაისურში.

- ბევრი ლეგიონერი უკრაინის ჩემპიონატს დროებით ბუფერულ პუნქტად მიიჩნევს. რამდენ ხანს აპირებთ "მშენებელთა" რიგებში თამაშს?

- "ბუდეველნიკს" დროებით გუნდად არ განვიხილავ. თუ ასე ვიტყვით, მაშინ დროებითი გუნდი ჩემთვის იყო თბილისის "ოლიმპი".

მინდა გავაგრძელო პროგრესი. ვნახოთ, რა იქნება სეზონის ბოლოს. თუ კლუბისთვის ისევ სასურველი ვიქნები და ჩემთვისაც საინტერესო იქნება აქ ყოფნა, ალბათ დავრჩები, რადგან უკვე ბევრჯერ გამოვიცვალე სამუშაო ადგილი. ჩემი არ იყოს, "ბედეველნიკიც" მაღალ მიზნებს ისახავს. იმედია, ამ მიზნებს ერთად მივაღწევთ.

უცნობი
გრიგოლ
რობაქიძე

დაგვიკავშირდით:
თბილისი,
ილია ჭავჭავაძის გამზ. N5
ტელ: (+995 32) 2 25 05 22
(+995 32) 2 91 22 83
(+995 32) 2 47 55 54
artanuji@artanuji.ge
www.artanuji.ge

www.artanuji.ge

გამომცემლობა არტანუჯი

პირველად

გრიგოლ რობაქიძის უცნობი
შემოქმედებითი მემკვიდრეობა
ქართულ ენაზე